აჭარა

გამოცემის 104-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№43 (25.171) 8 ნოემბერი, 2024 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 13-18, მთიან რაიონებში - 7-12, მაღალ მთაში - 2 გრადუსი ყინვა, 3 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 17 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 770 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ამინდი შეინარჩუნდება.

სამიტზე განსახილველი ძირითადი თემა ევროპის უსაფრთხოების გამოწვევებია

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში ევროპის პოლიტიკური გაერთიანების სამიტში მონაწილეობს

ქართული დელეგაციის შემადგენლობაში ასევე არიან საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი ლევან ჟორჟოლიანი. 40-მდე სახელმწიფოს ლიდერებს უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი მასპინძლობს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა სამიტის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ ღონისძიების ფარგლებში, როგორც სიტყვით გამოსვლისას, ისე ევროპელ ლიდერებთან საქართველოში მიმდინარე პროცესებსა და საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებზე ისაუბრებს.

„განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ეს ღონისძიება ბუდაპეშტში, უნგრეთის მასპინძლობით ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მალევე ტარდება. მექნება გამოსვლა თემატურ პანელზე, ასევე, დასკვნით პლენარულ სესიაზე, სადაც გაჟღერდება გზავნილები იმაზე, რაც უკავშირდება ჩვენს ქვეყანას და ჩვენი ქვეყნის გარშემო მიმდინარე მოვლენებს. ასევე გვექნება შესაძლებლობა, ევროპელ ლიდერებთან გავისაუბროთ ყველა იმ თემაზე, რაც არის საინტერესო საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების კუთხით. მათ შორის, საუბარი გვექნება საქართველოს საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტზე, რაც არის ევროკავშირში ინტეგრაცია. ვისაუბრებთ საქართველოში მიმდინარე პროცესებსა და საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებზე“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ევროპის პოლიტიკური გაერთიანების მეხუთე სამიტზე განსახილველი ძირითადი თემა ევროპის უსაფრთხოების გამოწვევებია. სამიტის ფარგლებში გათვალისწინებულია თემატური დისკუსიები. დაგეგმილია პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის სიტყვით გამოსვლა პანელურ დისკუსიაზე და სამიტის დასკვნით პლენარულ სესიაზე.

თანამშრომლობის გაღრმავებაზე ისაუბრეს

ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა თურქეთის რესპუბლიკის გენერალურ კონსულთან ბათუმში ადნან ალთაი ალთინორსთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა.

არჩილ ჩიქოვანმა ახლად დანიშნულ კონსულს დიპლომატიური მისიის დაწყება მიულოცა და მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

მერიის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის არსებულ მჭიდრო მეზობლურ ურთიერთობებზე იმსჯელეს და სხვადასხვა მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავების იმედი გამოთქვეს.

დეზინფორმაციასთან დაპირისპირებული მმართველი გუნდი და ოპოზიციის ბოიკოტი

2

მამუკა არეშიძე: ოპოზიციას აქვს სიტუაციის დაბალანსების შანსი

3

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

ᲓᲔᲖᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲓᲐ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲑᲝᲘ�კᲝᲢᲘ

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲚᲐᲛᲞᲐᲠᲐᲫᲔ 595 85 80 06

თითქმის ორი კვირა გავიდა, რაც საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა, თუმცა ეს თემა კვლავ აქტუალურია

ოპოზიცია არჩევნების ჩატარების დღიდან, 26 ოქტომბრიდან მოყოლებული უკმაყოფილოა და მმართველ პარტიას კენჭისყრის შედეგების გაყალბებაში ადანაშაულებს. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ, ცესკოს მიმართვის საფუძველზე, საპარლამენტო არჩევნების სავარაუდო გაყალბების ფაქტზე, „სისხლის სამართლის კოდექსის 164³-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით“ გამოძიება დაიწყო, თუმცა, მიუხედავად ბრალდებებისა, ოპოზიცია ქართულ საგამოძიებო უწყებებს არ ენდობა და ბარიერგადალახული ოპოზიციის ლიდერებს მთავარ გამოსავლად საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საგამოძიებო მოქმედებების დაწყება მიაჩნიათ.

საინტერესოდ იკვეთება მნიშვნელოვანი ფაქტორი: ოპოზიციურ პარტიებს საარჩევნო უბნებზე ჰყავდათ დამკვირვებლები, ამასთან, არჩევნებს აკვირდებოდნენ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც. დღის ბოლოს, შემაჯამებელ ოქმებს მათმა უმრავლესობამ ხელი მოაწერა და არჩევნები დასრულებულად ცნო. თუ საარჩევნო უბნების უმეტესობაზე დამკვირვებლებმა დარღვევები ვერ აღმოაჩინეს და შემაჯამებელ ოქმებს ხელი მოაწერეს, მაშინ, მმართველი გუნდის თქმით, იბადება ლოგიკური შეკითხვა - რა მეთოდებით გაყალბდა არჩევნები? არჩევნებიდან რამდენიმე დღეში ოპოზიციამ გაყალბების ფაქტებზე დაიწყო საუბარი, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროკურატურასთან თანამშრომლობას და მტკიცებულებების წარდგენას არ აპირებს. მათ გვერდით მყარად დგას საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, რომელიც ამტკიცებს, რომ საპარლამენტო არჩევნები გაყალბდა, მაგრამ არც თავად აპირებს ამის თაობაზე საგამოძიებო უწყებებთან საუბარს.

თავის მხრივ, პროკურატურაში აცხადებენ, რომ გამოძიების ფარგლებში გამოიკითხება ყველა, ვინც შესაძლებელია ფლობდეს ინფორმაციას სავარაუდო დანაშაულებრივ ფაქტთან დაკავშირებით.

პროკურატურაში არ აპირებს მისვლას არც პარტია „საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილე ნათია მეზვრიშვილი. მისი თქმით, ცესკო ამ დრომდე მალავს არჩევნების გაყალბების დამადასტურებელ უმნიშვნელოვანეს მტკიცებულებას, კერძოდ, იმ ამომრჩეველთა შესახებ სრულ ინფორმაციას, რომლებიც არჩევნებზე გამოცხადდნენ. მეზვრიშვილის განცხადებით, ის მხოლოდ იმ შემთხვევაში მივა საგამოძიებო უწყებაში, თუ პროკურატურა გახარიას პარტიის მიერ მიწოდებულ მტკიცებულებებზე ცალკე გამოძიებას დაიწყებს.

პროკურატურასთან თანამშრომლობას არ აპირებს პლატფორმა „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი თინათინ ბოკუჩავაც.

„არანაირ თანამშრომლობას ივანიშვილის ჯიბის პროკურატურასთან მე არ ვაპირებ. ბრიფინგზე განვმარტე, არანაირი გამოძიება და დამატებითი კვლევა, ოპოზიციური ლიდერების თუ პრეზიდენტის პროკურატურაში დაბარება არ სჭირდება იმ გარემოების დადგენას, რომ არჩევნების ფარულობის პრინციპი ტოტალურად იყო დარღვეული“, - აცხადებს თინა ბოკუჩავა.

მმართველი პარტია ოპოზიციას საგამოძიებო უწყებასთან თანამშრომლობისკენ მოუწოდებს, თუმცა, იქვე აღნიშნავს, რომ ოპონენტებს არჩევნების გაყალბების მტკიცებულებები არ აქვთ და მათ, უბრალოდ, პროვოკაცია სურთ, ვინაიდან ვერც წაგებას ეგუებიან.

„რადიკალები გამოძიებასთან არ ითანამშრომლებენ ერთი მიზეზის გამო - მათ არ აქვთ ფაქტები. ფაქტებს რომ ვერ წარმოადგენენ, იქვე მათი ტყუილი ნათელი გახდება. ეს არის იმ დესტრუქციის ნაწილი, რაც ოპოზიციამ არჩევნებამდე დაგეგმა“, - განაცხადა „ქართული ოცნების“ წევრმა დიმიტრი ხუნდაძემ.

არჩევნების თემას დიდად არ გადავუხვევთ, თუ პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილის ბრიფინგთან დაკავშირებით ვისაუბრებთ, სადაც საქართველოს რუკაზე ოკუპირებული ტერიტორიების ღია ფერით მონიშვნას დიდი სკანდალი მოჰყვა. პაპუაშვილის ბრიფინგი ეხებოდა არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით ოპოზიციის მხრიდან დეზინფორმაციის გავრცელებას და მათ მხილებას, რის თაობაზე კიდევაც წარადგინა შესაბამისი ფაქტები. პარლამენტის თავმჯდომარემ, 26 ოქტომბრის არჩევნებში „ქართული ოცნების“ დელეგატების მონაწილეობის შესახებ საუბრისას, პრეზენტაციაზე ელექტრონულად წარმოადგინა საქართველოს რუკა და აღნიშნა, რომ მმართველი გუნდის მხრიდან ოცდაათივე საარჩევნო ოლქში იყვნენ წარდგენილი დელეგატები. ამ ინფორმაციის ვიზუალურად უკეთ გადმოსაცემად, საქართველოს რუკაზე საარჩევნო ოლქები ლურჯად იყო გამოსახული, რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს რეგიონები კი მკრთალი ფერით, რაც პირდაპირი ტრანსლაციის დროს, მათთვის ვინც ტელევიზორს უყურებდა, ძნელი შესამჩნევი აღმოჩნდა.

ამ ფაქტს სოციალურ ქსელში კრიტიკა მოჰყვა. როგორც ოპოზიციური პარტიები, ისე მათი მხარდამჭერები და ამომრჩევლები საქართველოს მთავრობას აბრალებდნენ ქვეყნის ღალატს. საუბარი იყო იმაზე, რომ ე.წ. რუსულმა მთავრობამ ნელ-ნელა დაიწყო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების აღიარება და მისი რუკიდან გაქრობა.

აყოლოტაყს სოციალურ ქსელში მალევე გამოეხმაურა თავად პარლამენტის თავმჯდომარე.

„როგორც იცით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე არჩევნებს ვერ ვატარებთ. შესაბამისად, დელეგატებიც არ არიან ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ამიტომ აქ არის ის საარჩევნო ოლქები, სადაც დელეგატები იყვნენ წარმოდგენილები და სადაც ჩატარდა არჩევნები. თუკი ვინმეს აქვს პრობლემა ფერების აღქმაში, მაშინ მათ მოვუწოდებ, დააკვირდნენ, რომ საქართველოს ის ნაწილები, რომლებიც ოკუპირებულია, არის რუხი ფერით გამოსახული, მის გარშემო, არა საქართველოს ტერიტორიები, არის თეთრი ფერით გამოსახული. ესეც ხომ აჩვენებს, რა სამარცხვინო ხალხთან გვაქვს საერთოდ საქმე, ვინც მაგას აკეთებს. ჩემი შეფასებით, ეს ადამიანები ამ ქვეყნის შვილები არ არიან“, - განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

სოციალურ ქსელში აღნიშნულს გამოეხმაურა „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი მამუკა მდინარაძეც.



„რუსეთისთვის ტერიტორიების ჩამბარებლების მსახურებმა საარჩევნო რუკაზე ღია ფერით სარგებლობა გადაწყვიტეს. ამას ვამბობთ სულ, რამდენად მდაბიოები არიან! საპრეზენტაციო ეკრანზე ღია ფერი კამერებში კარგად არ გამოჩნდა და ეს არის ამათი რუკაო - უსამშობლოებმა წამების განსხვავებით დაიწყეს პოსტების წერა, რითაც იმისი გადაფარვა სცადეს, რაც შალვა პაპუაშვილმა მათ ამ ბრიფინგზე დამართა. ამავე დროს, პრეზენტაცია ბრიფინგზე დამსწრე ყველა ჟურნალისტს გადაეცა“, - აღნიშნა მდინარაძემ.

ოპოზიცია ქუჩის პროტესტს განაგრძობს. როგორც პარტია „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერმა გიორგი ვაშაძემ განაცხადა, საპროტესტო აქცია ყოველდღიურ რეჟიმში წარიმართება. ოპოზიციური ძალები არჩევნების შედეგების გაუქმებისა და ახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის მოთხოვნით გამოდიან. ბარიერგადალახული ოპოზიციური ძალების წარმომადგენლები ამბობენ იმასაც, რომ პარლამენტში არ შევლენ. ერთი შეხედვით, სცენარი თითქოს მეორდება - ამ ყველაფერმა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები გაგვახსენა. ოპოზიცია კვლავ ფიქრობს, რომ არჩევნები გაყალბდა და მოსახლეობას ისევ ქუჩაში ეპატიჟება მისი თავიდან ჩატარების მოტივით. საბოლოოდ, როგორც გვახსოვს, მაშინ ოპოზიცია პარლამენტში შევიდა, უცხოელ პარტნიორებთან მოლაპარაკების შემდეგ.

2020 წლის არჩევნების შედეგები შალვა პაპუაშვილმაც გაიხსენა.

„ისტორია ფარსად მეორდება, ზუსტად ოთხი წლის წინ იგივე ხალხი შეკრებილი იყო ტელეკომპანია „მთავარის“ სტუდიაში და დაფაზე საჯაროდ დადეს პირობა, რომ არ შევიდოდნენ პარლამენტში, არ აღიარებდნენ პარლამენტს და საბოლოოდ, ყველა შევიდა. ერთ რამესაც შეგახსენებთ: მას შემდეგ, რაც ბოიკოტის შემდეგ შემოვიდნენ პარლამენტში, იცით, რომ ხელფასები ჰქონდათ დაქვითული. გვეხვეწნენ და ახალი წლის წინ შევიკრიბეთ პარლამენტი იმისთვის, რომ მათთვის აღგვედგინა ის დაკარგული ხელფასი, რომელიც აი, ასე, პატრიოტული გრძნობებით ბოიკოტში რომ იყვნენ და გაყალბებულ არჩევნებს რომ არ აღიარებდნენ, მათ ჩამოჭრილი ჰქონდათ. ყველამ მსუყე-მსუყე თანხები ჩაირიცხა საკუთარ ანგარიშზე. ზოგი დასასვენებლად წავიდა და ზოგმა, შეიძლება, საახალწლო სუფრა გაშალა“, - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

ჩატარდება თუ არა არჩევნები თავიდან და ვიხილავთ თუ არა ოპოზიციას პარლამენტში, ამას მომავალი გვიჩვენებს. მომავალი გვიჩვენებს იმასაც, ოპოზიცია რეალურად თავისი ამომრჩევლის ინტერესების დაცვისთვის იბრძვის თუ საკუთარისთვის.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე ევროპის საზღვაო ლოცმანთა გაერთიანების პრეზიდენტ ერიკ დალეგეს შეხვდა. შეხვედრას საზღვაო ტრანსპორტის საგენტოს ხელმძღვანელი ალექსი ახვლედიანი და ევროპის საზღვაო ლოცმანთა ასოციაციის მდივანი ელკე ბოგეარდი ესწრებოდნენ. როგორც შეხვედრაზე ითქვა, რეგიონის მომავალი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საზღვაო სექტორის განვითარებაზე. სახელმწიფო მუდმივად უჭერს მხარს მეზღვაურებსა და საზღვაო სფეროს, იქნება ეს ინფრასტრუქტურა, განათლების სტანდარტების ამაღლება თუ საერთაშორისო თანადგომა. ევროპის საზღვაო ლოცმანთა გაერთიანება 1963 წელს შეიქმნა და მისი მიზანია, ხელი შეუწყოს ინფორმაციის, პროფესიული და ტექნიკური ცოდნის გაცვლას, რათა მუდმივად გაუმჯობესდეს საზღვაო პილოტების ცოდნა.

* * *

თორნიკე რიჟვაძემ აზერბაიჯანის გენერალურ კონსულთან ბათუმში პარვიზ ისმაილზადასთან გამოსამშვიდობებელი შეხვედრა გამართა. აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ კონსულს მადლობა გადაუხადა 6 წლის განმავლობაში აზერბაიჯანის რესპუბლიკის გენერალური კონსულის რანგში ქვეყნებს შორის თანამშრომლობის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის და სამომავლო საქმიანობაში წარმატებები უსურვა. პარვიზ ისმაილზადა 2018 წლის თებერვლიდან ბათუმში აზერბაიჯანის გენერალური კონსული იყო.

* * *

ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე მდებარე №14 საბავშვო ბაღი 210 აღსაზრდელს მოემსახურება. ორსართულიანი, თანამედროვე სტანდარტის ბაღი ადაპტირებულია შშმ პირთათვის. პროექტის ფარგლებში კეთილმოეწყო ეზო, განთავსდა საბავშვო ატრაქციონები. სამუშაოებისთვის 2 მილიონ 113 ათას ლარზე მეტი იყო გათვალისწინებული. მერიის ინფორმაციით, 2013-24 წლებში ბათუმს თანამედროვე სტანდარტის 12 მუნიციპალური საბავშვო ბაღი შეემატა, რეაბილიტირდა - 20. ოქტომბერში 280 აღსაზრდელზე გათვლილი კიდევ ერთი ახალი საბავშვო ბაღი შევიდა ექსპლუატაციაში. ამ ეტაპზე სრულდება მელიქიშვილის ქუჩაზე არსებული №4 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციაც, წლის ბოლომდე დასრულდება კიდევ ერთი ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა აეროპორტის ადმინისტრაციულ ერთეულში. მერია ორი ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობის დაწყებას აანონსებს.

* * *

მუნიციპალური სასადილოების გეგმური მონიტორინგი დაიწყო, რომელსაც მუნიციპალური ინსპექციის სანიტარიული ზედამხედველობის განყოფილება მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის“ თანამშრომლებთან ერთად ახორციელებს. უწყების ინფორმაციით, მზა კერძები მოწმდება კალორიულობაზე, ჭურჭლის რეცხვის და დასუფთავების ხარისხზე საანალიზო ნიმუშები აიღება, აგრეთვე განხორციელდება ნედლეული კვების პროდუქტების ნიმუშების აღება ქიმიურ და ბაქტერიოლოგიურ კვლევაზე. მუნიციპალური ინსპექცია დაწესებულებებს, წელიწადში 4-ჯერ, ყოველ კვარტალში ამოწმებს.

* * *

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2024 წლის ღონისძიების „სოფლად მცხოვრები ქალების სოციალურ-ეკონომიკური აქტივობის ზრდის ხელშეწყობის“ ფარგლებში, მენტორმა ქალბატონებმა მეწარმე ფერმერი ქალებისთვის სასწავლო ტრენინგი ჩაატარეს. უწყების ცნობით, ღონისძიების მიზანი ცნობიერების ამაღლება, ასევე, თანამედროვე ტექნოლოგიური სიახლეებისა და გამოწვევების ეფექტურად დანერგვა იყო. „ღონისძიების ფარგლებში, სამი დღის განმავლობაში შერჩეული მენტორები სასწავლო ტრენინგს მუნიციპალიტეტებში ატარებდნენ. ტრენინგები თემატიკის გათვალისწინებით ტარდებოდა: ხულოს მუნიციპალიტეტში - კენკროვანი კულტურების მოვლა-მოყვანა, შუახევის მუნიციპალიტეტში - ღია და დახურული გრუნტის ბოსტნეული კულტურების წარმოება, ქედის მუნიციპალიტეტში - მეფუტკრეობა და თაფლის წარმოება, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში - ჩირის პროდუქტების წარმოება, ქობულეთის მუნიციპალიტეტში - მევენახეობა და მარნის წარმოება. პროგრამის ფარგლებში, სულ რეგიონში 50 ფერმერი ქალი გადამზადდა. სამომავლოდ, აღნიშნული პროგრამის გაფართოებაა დაგეგმილი“, - ნათქვამია აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

* * *

აჭარაში, 100 სოფლად არსებული განთავსების ობიექტის მეპატრონეს სოციალური გვერდების მართვის თემაზე ინდივიდუალური ტრენინგი უტარდება. ინფორმაციას აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი ავრცელებს. უწყების ცნობით, 20-ზე მეტი ფოტოგრაფი და სოციალური მედიის სპეციალისტი ინდივიდუალურად სტუმრობს საოჯახო სასტუმრო სახლებისა და კოტეჯების მფლობელებს, უმზადებს მათ ფოტო-ვიდეო მასალას (რილსების სახით), ასწავლის, როგორ შექმნან ან განავითარონ უკვე არსებული სოციალური მედიის პლატფორმები ფეისბუქზე, ინსტაგრამსა და ტიკტოკზე. სატრენინგო-საგანმანათლებლო პროგრამას აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი ახორციელებს. პროექტისთვის წინასწარი კვლევის საფუძველზე შეირჩა ისეთი განთავსების ობიექტები, რომლებსაც ნაკლებად გამართული ან საერთოდ არ ჰქონდათ სოციალური მედიის გვერდები.

* * *

აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა საინფორმაციო კამპანიის „ვარდისფერი ოქტომბრის“ ფარგლებში, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ბათუმის ფილიალის მხარდაჭერით, მოსახლეობაში გაავრცელა ფლაერები ძუძუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციისა და სკრინინგის ღონისძიებების შესახებ. „ვარდისფერი ოქტომბერი“ საერთაშორისო კამპანიაა, რომელიც მიზნად ისახავს ცნობიერების ამაღლებას ძუძუს კიბოს რისკებისა და სკრინინგის აუცილებლობაზე. კიბო განაჩენი არ არის - რეგულარული სკრინინგი მნიშვნელოვანი ნაბიჯია მისი პრევენციისთვის. **ცნობისთვის: აჭარაში უფასოა შემდეგი დაავადებების სკრინინგი:** ძუძუს კიბოს - 40-70 წლის ქალებისთვის; საშვილოსნოს ყელის კიბოს - 25-60 წლის ქალებისთვის; მსხვილი ნაწლავის კიბოს - 50-70 წლის ასაკის ქალებისთვის; ბათუმის მუნიციპალიტეტის პროგრამის ფარგლებში, 25-40 წლის ქალებისთვის უფასოა ძუძუს კიბოს სკრინინგი. ასევე, პაპილომავირუსის (აპვ) საწინააღმდეგო ვაქცინაცია უფასოა 10-26 წლის ახალგაზრდებისთვის და გრძელდება 10-12 წლის გოგოებისა და ბიჭებისთვის ორჯერადი ვაქცინაციით, ხოლო 13-46 წლისებისთის - სამჯერადი სქემით (0 - 2 - 6 თვე).

მამუკა არეშიძე: ოპოზიციას აქვს სიტუაციის დაბალანსების შანსი

ირმა ცეცხლაძე 577 10 15 17

პოლიტოლოგი, ექსპერტი მამუკა არეშიძე თვლის, რომ დასავლეთთან ჯერ კიდევ არაფერი დასრულებულა და ევროპა ერთი ხელის მოსმით არ უარყოფს საქართველოს, არ უბიძგებს რუსეთისკენ. მისი თქმით, ამ ეტაპზე საქართველოს მოსახლეობამ სწორი ნაბიჯი გადადგა, როდესაც ხმა მისცა მშვიდობას და სტაბილურობას.

საუბრის დასაწყისში ექსპერტი აანალიზებს ქვეყანაში არსებულ ვითარებას: „წკიპზეა მსოფლიო. ყოველდღე ერთი უმნიშვნელოვანესი ფრაზა ისმის, „მესამე მსოფლიო ომი“. ლაპარაკი მშვიდობაზე აქტუალურია, მით უმეტეს, ჩვენისთანა რეგიონში, სადაც ვხედავთ, რომ ჩვენს სამეზობლოში ასეთი ომებია ჩრდილოეთითაც და სამხრეთითაც, ან გაყინული, ან ცხელ მდგომარეობაში. „ოცნების“ შეცდომებზე ახლა ლაპარაკს აზრი არა აქვს, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებს ვგულისხმობ. ამ არჩევნებში გაშიშვლებული იყო ორი გზავნილი - მშვიდობა და სტაბილურობის შენარჩუნება - „ქართული ოცნებისთვის“, ოპოზიციისთვის კი - შინ ევროპისკენ, ანუ სვლა დასავლეთისკენ. მე მაინც მგონია, „ოცნების“ მესიჯი უფრო ლოგიკური იყო. „ოცნება“ დასავლეთზე უარს არ ამბობს და არც შეიძლება თქვას. ეს არალოგიკური იქნებოდა, მაგრამ ურთიერთობების დივერსიფიკაცია აუცილებელია, სხვანაირად არ გამოდის.“

ამომრჩევლის მოსყიდვაზე, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებასა და სხვა ტიპის ჩარევაზე საუბრისას არეშიძემ განაცხადა: „როდის არ ყოფილა საქართველოში ასეთი რამ? ამ ოპოზიციის ზეობის პირობებში იყო გაყალბები თუ იყო და ახლაც შეიძლება ყოფილიყო, ამას ვერ გამოვრიცხავ. ამერიკაში არჩევნების დროს უთქვამთ ექსპერტებს, რომ 8-10-პროცენტიან გაყალბებას გულისხმობენ ელექტრონული არჩევნების შემთხვევაშიცო, რაც კარგად გამოჩნდა ტრამპის არჩევნების დროს. ბოლო არჩევნებს ვგულისხმობ. მაშინ ეს თემა მუსირებდა ამერიკულ მედიაში. თუ თვლიან, რომ ამ ელექტრონული ტექნოლოგიების პერიოდშიც არის გაყალბებული არჩევნები, მაშინ წინასწარ უნდა ეზრუნათ ამაზე, ახლა მუშტების ქნევას აზრი აღარ აქვს.“

მამუკა არეშიძის თქმით, დასავლეთი აღიარებს არჩევნებს: „არა მგონია, დასავლეთი წავიდეს კატეგორიულ ნაბიჯზე. ასეთ დროს ამის ალბათობა 50:50-ზეა. ეს ნიშნავს, საქართველოს სხვა მიმართულებით უბიძგო ხელი. რუსეთის თემა აქ გამორიცხულია იმიტომ, რომ ვერც ერთი პოლიტიკური ძალა, მათ შორის „ქართული ოცნება“, დღევანდელ ვითარებაში პრორუსულ პოლიტიკას საქართველოში ვერ გაატარებს. რუსული თემა დიდწილად ყურით მოთრეულია, როგორც ე.წ. რუსული კანონი.“

ექსპერტის აზრით, პოლიტიკაში არსებობს მიზანშეწონილობის ფაქტორი. თუ სჭირდებათ გეოპოლიტიკური სივრცე სამხრეთ კავკასიაში, სადაც ერთ-ერთი დომინანტია საქართველო, მაშინ გადადგამენ იმ ნაბიჯებს, რასაც მიიჩნევენ საჭიროდ: „პოლიტიკა სავაჭრო სივრცეა, იმიტომაც ამბობენ, ბინძურიაო, მორალური პრინციპები კი არა, პოლიტიკური მიზანშეწონილობა მუშაობს. ბრიტანელი პოლიტიკოსების ფრაზა, ინგლისს არა ჰყავს მუდმივი მეგობრები, არც მუდმივი ინტერესებიო, ეს არის დღევანდელი მსოფლიო პოლიტიკის ზუსტი მაჩვენებელი. დღეს არაფერს ნიშნავს პარტნიორი, მთავარია, საკუთარი ინტერესების გატარება. დემოკრატია აბსოლუტურად პირობითი ცნებაა, ფარი იმისა, რა გადაწყვეტილების მიღება სჭირდება კონკრეტულ ძალას თუ ქვეყანას. აშშ-ის ბოლო არჩევნებმა კარგად აჩვენა, რა ხარისხის დემოკრატიაა დღეს მსოფლიოში. როცა სჭირდებათ, მაშინ არის ადამიანის უფლებები ცენტრალური მოცემულობა, როცა საკუთარი პოლიტიკური ინტერესების გატარება უნდათ, მაშინ არავის აღარაფერი ახსოვს. მთავარია ფული და არა, ვთქვათ, მორალი. რასაკვირველია, ყველაფერი შედარებითია, ზოგიერთი ქვეყანა ისეთ დიქტატორულ რეჟიმში ცხოვრობს, ბუნებრივია, მათთან შედარებით დასავლეთი თავისუფლების სიმბოლოა.“



> *„მამუკა არეშიძის თქმით, დასავლეთი აღიარებს არჩევნებს: „არა მგონია, დასავლეთი წავიდეს კატეგორიულ ნაბიჯზე. ასეთ დროს ამის ალბათობა 50:50-ზეა. ეს ნიშნავს, საქართველოს სხვა მიმართულებით უბიძგო ხელი. რუსეთის თემა აქ გამორიცხულია იმიტომ, რომ ვერც ერთი პოლიტიკური ძალა, მათ შორის „ქართული ოცნება“, დღევანდელ ვითარებაში პრორუსულ პოლიტიკას საქართველოში ვერ გაატარებს. რუსული თემა დიდწილად ყურით მოთრეულია, როგორც ე.წ. რუსული კანონი.“*

მამუკა არეშიძე მიმართავს ახალგაზრდებს და აქცენტს აკეთებს მსოფლიო ფენომენზე, რომელიც მაშინ იჩენს თავს, როცა არ არსებობს მორალური ბარიერები, რაც არსებობს მორალური ბარიერები, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია დასავლური პოლიტიკური ცენტრისთვის. მათ სჭირდებათ, რომ სამხრეთ კავკასია, საქართველო მათი გავლენის ქვეშ იყოს. აბსოლუტურად ლოგიკურია, გარკვეული გავლენების მიღება - პლუს სამხედრო-პოლიტიკური ქოლგა, მაგრამ არსებობს ჩვენი ინტერესებიც... დასავლეთი არ არის კოლექტიური ცნება. ერთი შეხედვით, მისთვის მიუღებელი იყო ანაკლიის პორტის მშენებლობის იმ ჩინური ფირმისთვის გადაცემა, რომელმაც მოიგო ტენდერი. მერე გაირკვა, რომ ამ კონსორციუმის უკან არიან ძალიან სერიოზული ამერიკული და ბრიტანული საფინანსო ჯგუფები, დაბალი პროცენტით, მაგრამ ხომ არიან? თავიდანვე აღშფოთებული იყო ოპოზიცია ფოთის პორტის საქმის გამო, მაგრამ დიდი ნაწილი უკვე აღარ ლაპარაკობს ამაზე. მსოფლიო არ არის ერთსახოვანი (მხოლოდ რუსეთია ერთ კაცზე ჩამოკიდებული), პარიტეტს ქმნიან და პარიტეტიდან გამომდინარე, პროდუქტი იდება. ობდა თუნდაც წინა მსოფლიო წესრიგის დროს. ახლა ყველა დადარაჯებულია, მეტი ტერიტორია, გავლენა თუ ზემოქმედების სხვა საშუალება მოიხვეჭოს მომავალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებამდე. ჩვენც იგივე უნდა ვაკეთოთ. დასავლეთი ჩვენი ბუნებრივი მოკავშირეა, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია რეგიონული პოლიტიკა, სახელმწიფოს განვითარება, ინდუსტრიის შექმნა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია დასავლური პოლიტიკური ცენტრისთვის. მათ სჭირდებათ, რომ სამხრეთ კავკასია, საქართველო მათი გავლენის ქვეშ იყოს. აბსოლუტურად ლოგიკურია, გარკვეული გავლენების მიღება - პლუს სამხედრო-პოლიტიკური ქოლგა, მაგრამ არსებობს ჩვენი ინტერესებიც... დასავლეთი არ არის კოლექტიური ცნება. ერთი შეხედვით, მისთვის მიუღებელი იყო ანაკლიის პორტის მშენებლობის იმ ჩინური ფირმისთვის გადაცემა, რომელმაც მოიგო ტენდერი. მერე გაირკვა, რომ ამ კონსორციუმის უკან არიან ძალიან სერიოზული ამერიკული და ბრიტანული საფინანსო ჯგუფები, დაბალი პროცენტით, მაგრამ ხომ არიან? თავიდანვე აღშფოთებული იყო ოპოზიცია ფოთის პორტის საქმის გამო, მაგრამ დიდი ნაწილი უკვე აღარ ლაპარაკობს ამაზე. მსოფლიო არ არის ერთსახოვანი (მხოლოდ რუსეთია ერთ კაცზე ჩამოკიდებული), პარიტეტს ქმნიან და პარიტეტიდან გამომდინარე, პროდუქტი იდება. მაგრამ ჩვენს შემთხვევაში არსებობენ ფინანსური ჯგუფები, რომლებსაც სხვა ინტერესები აქვთ სამხრეთ კავკასიაში და შეიძლება საინვესტიციების პოლიტიკა მათთვის მიუღებელი იყოს. უფრო სწორად, ვხედავ, რომ მიუღებელია. აქვე არც ის დაივიწყოთ, რომ არსებობენ სხვა ჯგუფებიც, რომლებისთვისაც - მისაღებია.“

კითხვაზე, რა პოზიციას დაიკავებს დასავლეთი, ექსპერტი აღიარებს, რომ : „რთული სათქმელია, გააჩნია, როგორ იმუშავებს ქართული მხარე, გააჩნია, ვისი ინტერესები როგორია მთლიანად რეგიონში. შევხედოთ სომხეთის საკითხს, რა ხდება. ერთია, სომხეთის მიმართ საფრანგეთის პოლიტიკა, ძალიან აქტუალური, და სხვა - კრებსითი ევროპის, ბრიუსელის პოლიტიკა. დარწმუნებული ვარ, დასავლეთთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად გადაიდგმება ნაბიჯები. სულ მცირე, უფროსი და უმცროსი პარტნიორის ურთიერთობა უნდა შენარჩუნდეს. არ შეიძლება ყურმოჭრილი მონობა. ყველაფერი გაკეთდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რომ ამ რეგიონში მყოფ სამივე ქვეყანას სხვადასხვა ორიენტაცია ჰქონოდა, რომ მათ ერთმანეთში ვერასოდეს მოელაპარაკათ. ამას აკეთებდნენ მსხვილი მოთამაშეები, არა მარტო რუსები, მაგალითად, თურქეთი და დასავლეთიც ამას ცდილობდა. ამ ვითარებაში ბევრი რამ არის დამოკიდებული საქართველოს დიპლომატიურ კორპუსსა და პოლიტიკურ ელიტაზე. რამდენად მოაგვარებენ და როგორი ტიპის ურთიერთობა ექნებათ დასავლეთთან, ამის პროგნოზირება რთულია. დასავლეთში ამაზე ერთი პირი არა აქვთ, იქ არსებობს სხვადასხვა ძალის ცენტრი, რომელიც სხვანაირად ფიქრობს, მაგრამ საჭიროა ყველასთან საერთო ენის გამონახვა. მარტო დასავლეთის გინება ან ქება შედეგს არ მოიტანს.“

ექსპერტის აზრით, თუ ოპოზიცია ამ არჩევნებს არ აღიარებს „ქვეყანა სტაგნაციაში ჩავარდება, დაიწყება გაუთავებელი აქციები, ნგრევა, ისედაც მყიფე სახელმწიფოებრიობას წყალი შეუდგება. მე მიმაჩნია, რომ უნდა შევიდნენ პარლამენტში, სადაც საკმაოდ სერიოზული ძალა ექნებათ. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ თვითონ ოპოზიციის მხარდამჭერებს არა აქვთ იმედი, რომ ყველა ერთ აზრზე იქნება. „ქართულ ოცნებას“ ვერ ექნება საკონსტიტუციო უმრავლესობა, ეს ისედაც პროგნოზირებადი იყო. კანონების რაღაც ნაწილი საკონსტიტუციო უმრავლესობით უნდა გადაწყდეს. მე მაინც მგონია, ოპოზიციას აქვს სიტუაციის დაბალანსების შანსი. ჩვენ დაბალანსებული პარლამენტი გვჭირდება. ოპოზიციამ ისედაც რამდენი წელი გააცდინა პარლამენტში არშესვლით.“

აქტუალური თემა

პარკირების პრობლემა – ქალაქის თითქმის ყველა ქუჩაზე

მანანა ტაკიძე 577 10 15 17

ბათუმში პარკირების სერიოზული პრობლემაა. მძღოლები ხშირად მანქანებს არასწორ ადგილას ტოვებენ. ხშირია ქალაქის ქუჩებში ტრაილერების ან მისი მისაბმელების დატოვების შემთხვევებიც

მაშინ, როცა ქალაქში საპარკინგე ადგილების მწვავე დეფიციტია, დაზიანებული მანქანები (ზოგჯერ ღია, ზოგჯერ შეფუთული) ხშირად წლობითაც კი არის ქუჩებში მიტოვებული. რას აკეთებს უწყება პრობლემის დასარეგულირებლად და რა ბერკეტები აქვთ მის მოსაგვარებლად. ამ და სხვა შეკითხვებით გვსურდა მიგვემართა ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის ხელმძღვანელისთვის. მასთან ინტერვიუს ჩაწერა პრობლემა აღმოჩნდა ჩვენთვის. მათივე მითითებით, წერილობით მივმართეთ უწყებას, რომელიც თითქმის ათდღიანი ლოდინის შემდეგ გამოგზავნილ, პასუხებში მხოლოდ ჯარიმების ბოლო მონაცემებითა და სტატისტიკით შემოიფარგლა.

ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალურ ინპექციაში“ გაგზავნილი წერილის პასუხად მივიღეთ ცნობა, რომ ბათუმში საგრძნობლად მოიმატა როგორც ადგილობრივი მცხოვრებლების, ისე ვიზიტიორების მფლობელობაში არსებული ავტომობილების რაოდენობამ, რომ ინსპექციის შესაბამისი სამსახურის სპეციალისტები ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებენ მონიტორინგს, რათა აღმოიფხვრას არსებული პარკირების დარღვევის შემთხვევები.

ბათუმის მუნიციპალური ინპექციის ინფორმაციით, უწყებამ მიმდინარე წელს, დღემდე, 68598 სამართალდარღვევა გამოავლინა, მათ შორის:

46493 - პარკირების საფასურის გადახდის გარეშე დგომა,

7677 - ტროტუარზე დგომა,

6392 - დგომა-გაჩერებისა და სხვა ნიშნების დარღვევა,

4490 - ავტობუსის გაჩერებაზე დგომა,

1070 - ველობილიკზე არასწორი პარკირება,

287 - შშმ პირის ტრანსპორტისთვის განსაზღვრულ ადგილზე დგომა,

2189 - პარკირების წესების და სხვა დარღვევა.

> *„მიუხედავად არაერთი თხოვნისა და მოთხოვნისა, 19 აგვისტოს შემდეგ გიორგი ბრწყინვალეს ქუჩაზე, ავტობუსის გაჩერებაზე რატომ დგას ტრაილერის მისაბმელი (ასეთივე მდგომარეობაა ბევრ ქუჩაზე), რა ბერკეტი გაქვთ უნომრო, ექსპლუატაციისთვის უვარგისი და ნაავარიები მანქანების მეპატრონეების აღმოსაჩენად და როგორ რეაგირებთ ამაზე?*

არასწორად პარკირებისთვის დაჯარიმდა და შემთხვევის ადგილიდან გაიყვანეს 1437 ტრაილერი და სხვა სპეცტექნიკა, ევაკუირებული და საჯარიმო სადგომზე გადაყვანილია 2564 ავტომობილი, ქალაქის ტერიტორიიდან გაყვანილია 146 ერთეული უსახური ან მიტოვებული ავტომობილი, მთელი ქალაქის მასშტაბით, მათ შორის, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩაზე, ყოველდღიურად ხორციელდება დარღვევით მდგომი ავტომობილების მონიტორინგი, დილის 09 საათიდან 19 საათამდე მუშაობს ცხელი ხაზი: 595 00-13-07.

რადგან ინტერვიუს ჩაწერა ვერ მოვახერხეთ და პასუხმა ვერ დაგვაკმაყოფილა, აქედან გკითხავთ: მიუხედავად არაერთი თხოვნისა და მოთხოვნისა, 19 აგვისტოს შემდეგ გიორგი ბრწყინვალეს ქუჩაზე, ავტობუსის გაჩერებაზე რატომ დგას ტრაილერის მისაბმელი (ასეთივე მდგომარეობაა ბევრ ქუჩაზე), რა ბერკეტი გაქვთ უნომრო, ექსპლუატაციისთვის უვარგისი და ნაავარიები მანქანების მეპატრონეების აღმოსაჩენად და როგორ რეაგირებთ ამაზე? ქალაქში თითქმის ყველა ქუჩაზეა ასეთი მანქანები, მთავარია, მონდომება თქვენი მხრიდან, რომ პრობლემა მოგვარდეს.

მოსახლეობამ კარგად იცის, რომ ამ დროს ცხელ ხაზზე უნდა დარეკოს, მაგრამ იმასაც ხედავს, რომ მათი მოთხოვნა ხშირად რეაგირების გარეშე რჩება. ვიცით, სწორი პარკირება მეტწილად ჩვენი, მოქალაქეების პასუხისმგებლობაცაა, არ უნდა შევქმნათ პრობლემები, მაგრამ რას აკეთებს უწყება, რომლის ვალდებულებაცაა აკონტროლოს სიტუაცია?

ხელოვნური ინტელექტი – საფრთხე თუ შესაძლებლობა?

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

დღეს ვცხოვრობთ ეპოქაში, როდესაც ახალი ტექნოლოგიების განვითარებამ შესაძლებელი გახადა ხელოვნური ინტელექტის შექმნა. ფაქტობრივად, თითქმის არ არსებობს სფერო, სადაც იგი ვერ შეაღწევს. ეს ტექნოლოგია კვლავაც ვითარდება და მისი სრული პოტენციალის პროგნოზირება ძალიან რთულია. ახალი ტექნოლოგიების გამოსვლასთან და დამკვიდრებასთან დაკავშირებული აღფრთოვანება ბუნებრივია, მაგრამ რიგითი ადამიანისთვის შეიძლება, რთული წარმოსადგენი იყოს, რა საფრთხეები იქმნება და როგორ შეიძლება შეიცვალოს სამყარო მისი განვითარებით

როგორ მუშაობს ეს რევოლუციური ტექნოლოგია და როგორ შეუძლია მას ადამიანის ყოველდღიურობის რადიკალურად გამარტივება? - ამ თემაზე ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის პროფესორი, განათლების დოქტორი ***ნანა მაკარაძე*** *გვესაუბრება.*

- ქალბატონო ნანა, როგორ ავუხსნათ ადამიანებს ხელოვნური ინტელექტის როლი და სარგებელი?

- ხელოვნური ინტელექტი (AI) არის ჩვენი დროის ტექნოლოგიური რევოლუცია, რომელიც ცვლის ჩვენს ცხოვრებას ისევე, როგორც ოდესღაც, მაგალითად, ინტერნეტის გამოგონებამ შეცვალა. ზოგადად, საზოგადოება საკმაოდ რთულად ეგუება ინოვაციებს, განსაკუთრებით - ტექნოლოგიების სფეროში. თავის დროზე ადამიანების ნაწილი სკეპტიკურად უყურებდა თუნდაც მობილური ტელეფონის გამოგონებას, რადგან ფიქრობდნენ, რომ ის პირად ურთიერთობებს დააზიანებდა, თუმცა დღეს ტელეფონი ჩვენი ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია და არა მხოლოდ კომუნიკაციის, არამედ არაერთი მიმართულებით ჩვენი საქმიანობის ხელშემწყობი საუკეთესო საშუალება. ხელოვნური ინტელექტი არის შემდეგი ნაბიჯი ამ ევოლუციაში, თუმცა ბევრს დღემდე უჭირს გაიგოს, რა სარგებელი მოაქვს მას ჩვენი ცხოვრებისთვის. როგორც განათლების სფეროს წარმომადგენელი, ხშირად ვუსვამ კითხვას საკუთარ თავს - რატომ უნდა მივესალმოთ ამ ტექნოლოგიურ ცვლილებას? ან სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს მისმა გამოყენებამ თუნდაც განათლების სფეროში? მარტივად რომ ავხსნათ, წარმოვიდგინოთ მასწავლებელი, რომელსაც არასდროს ღლის ჩვენი კითხვები, რომელიც 24 საათის განმავლობაში მზადაა დაგვეხმაროს და ამავდროულად იცის, როგორ მოარგოს ეს მხარდაჭერა ჩვენს ტემპს. ხელოვნური ინტელექტი გვეხმარება, დავზოგოთ დრო მარტივ ამოცანებზე, რათა მეტი დრო დავუთმოთ შემოქმედებით და ადამიანურ ურთიერთობებს, აანალიზებს უზარმაზარ მონაცემებს წამებში და საშუალებას გვაძლევს, ზედმეტი ძალისხმევის გარეშე მივიღოთ ჩვენთვის საჭირო ინფორმაცია ნებისმიერი მიმართულებით. ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ხელოვნური ინტელექტი არ ანაცვლებს ადამიანებს, ის მხოლოდ აძლიერებს მათ შესაძლებლობებს. ეს არის ინსტრუმენტი, რომელიც გვეხმარება, გავხდეთ უკეთესი მასწავლებლები, უკეთესი მოსწავლეები და საბოლოოდ, უკეთესი საზოგადოება. ერთი რამ ცხადია, რამდენიც არ უნდა ვისაუბროთ მის დადებით თუ უარყოფით მხარეებზე, ეს ტექნოლოგია უკვე ჩვენი ცხოვრების ნაწილია და მისი პოტენციალი დღითი დღე უფრო და უფრო იზრდება. ახლა ჩვენი მთავარი პასუხისმგებლობა მისი გონივრულად გამოყენებაა, ისევე, როგორც ეს გავაკეთეთ სხვა დიდი გამოგონებების შემთხვევაში. სწორედ ამიტომაა მნიშვნელოვანი აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხი ხელოვნური ინტელექტის გამოყენებისას. ის უნდა იყოს დამხმარე ინსტრუმენტი სწავლის პროცესში და არა - პლაგიატის წყარო. ადამიანებმა უნდა ისწავლონ, როგორ გამოიყენონ ის იდეების გენერირების, კვლევის გაღრმავებისა და საკუთარი აზროვნების გაფართოებისთვის, თუმცა, ამასთანავე, ყოველთვის უნდა აღიარონ მისი გამოყენება, შეინარჩუნონ საკუთარი იდენტობა და კრიტიკული აზროვნების უნარი.

- რას გულისხმობდა ხელოვნური ინტელექტის თავდაპირველი გაგება და რით განსხვავდება იგი თანამედროვე აპლიკაციისგან?

- ხელოვნური ინტელექტის პირველი კონცეფცია შეიძლება შევადაროთ მექანიკურ მოაზროვნეს - რთულ კალკულატორს, რომელსაც შეეძლო მხოლოდ წინასწარ გაწერილი წესებით მოქმედება. ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის წინათ მეცნიერები ოცნებობდნენ ისეთ მანქანაზე, რომელსაც ექნებოდა უნარი, გაეანალიზებინა, ემსჯელა და მიეღო გადაწყვეტილებები ადამიანის მსგავსად, დღევანდელი ხელოვნური ინტელექტი კი რადიკალურად განსხვავებულია. ის უფრო ჰგავს სპეციალიზებულ ექსპერტს კონკრეტულ სფეროში. მაგალითად, თანამედროვე AI სისტემებს შეუძლია, დიდი სიზუსტით ამოიცნოს სახეები ფოტოებზე, თითქმის უშეცდომოდ თარგმნოს ტექსტები სხვადასხვა ენაზე ან გააანალიზოს სამედიცინო მონაცემები დაავადებების გამოსავლენად, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია ერთი ფაქტორი - სისტემა, რომელიც ბრწყინვალედ თამაშობს ჭადრაკს, ვერ შეძლებს მანქანის მართვას ან პაციენტთან საუბარს. ეს განსხვავება შეგვიძლია დავინახოთ ნებისმიერი სფეროს მაგალითზე. ეს ტრანსფორმაცია კარგად აჩვენებს, ხელოვნური ინტელექტის შემოღებით როგორ შეიცვალა მიდგომები - ზოგადი, ადამიანის მსგავსი გონების შექმნის იდეიდან უფრო პრაქტიკულ, მიზანზე ორიენტირებულ მიდგომამდე.

- ხელოვნურ ინტელექტს კრეატიული სურათების შექმნა შეუძლია, ეს მანამდე გრაფიკული დიზაინერების საქმე იყო. შესაძლებელია, ამ პლატფორმამ ჟურნალისტის რომელიმე ფუნქციაც შეითავსოს?

- ხელოვნურ ინტელექტს ნამდვილად აქვს პოტენციალი, შეითავსოს ჟურნალისტიკის გარკვეული ასპექტები, თუმცა ეს არ ნიშნავს მათ ჩანაცვლებას. თუ გავავლებთ პარალელს გრაფიკულ დიზაინთან, ცნობილი სისტემები, რომლებსაც შეუძლია მიიღოს ტექსტური მოთხოვნა და შექმნას შესატყვისი სურათების სერია, არ ანაცვლებს კრეატიულ დიზაინერებს, არამედ ხდება მათი ინსტრუმენტი სწრაფი პროტოტიპების შესაქმნელად და იდეების გენერირებისთვის. აი, ზუსტად ასევე შეიძლება AI გახდეს ჟურნალისტის დამხმარე ინსტრუმენტი. ხელოვნურ ინტელექტს ნამდვილად შეუძლია გარკვეული ტექნიკური ფუნქციების შეთავსება - მაგალითად, მარტივი საინფორმაციო ტექსტების შედგენა, დიდი მოცულობის მონაცემების უსწრაფესად დამუშავება და ანალიზი, მასალების თარგმნა, ფაქტების გადამოწმება ან თუნდაც პრესრელიზის ადაპტირება, თუმცა ჟურნალისტიკის არსი - ინფორმაციის სიღრმისეულად ძიება და ყველა დეტალის შესწავლა, კრიტიკული ანალიზი, საზოგადოების მყისიერი ინფორმირება და მისი განწყობის შექმნა - კვლავ რჩება ადამიანის უნიკალურ უნარად. მარტივი პარალელი რომ გავავლოთ ყოველდღიური ცხოვრებიდან, წარმოიდგინეთ, შეიძლება გვქონდეს უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი სამზარეულო მოწყობილობები, რომლებიც ავტომატურად ახარისხებს, ჭრის, ხარშავს, ზომავს ინგრედიენტებს, მაგრამ საბოლოოდ მაინც მზარეული ქმნის უნიკალურ გემოს და იღებს კრეატიულ გადაწყვეტილებებს სასურველი კერძის მომზადებაზე.

- რა არის მთავარი გამოწვევა ხელოვნური ინტელექტის გამოყენებისას?

- მის გამოყენებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს შეგვიძლია რამდენიმე მნიშვნელოვანი კუთხით შევხედოთ: პირველი და უმნიშვნელოვანესია ეთიკურობის საკითხი. AI სისტემების გადაწყვეტილებებმა შეიძლება გავლენა იქონიოს ადამიანების ცხოვრებაზე - დაწყებული სამსახურში აყვანის პროცესიდან, დამთავრებული სამედიცინო დიაგნოსტირებით. როგორ უზრუნველვყოთ, რომ ეს გადაწყვეტილებები იყოს სამართლიანი და მიუკერძოებელი? ბუნებრივია, თავს ვერ მივცემ ყველა სფეროზე საუბრის უფლებას, თუმცა საგანმანათლებლო სფეროში გამოწვევები განსაკუთრებით აქტუალურია. ერთი მხრივ, AI-ს შეუძლია მაქსიმალური სიზუსტით შექმნას ჩვენთვის საჭირო ტექსტები და გადაჭრას ჩვენთვის საკმაოდ აქტუალური ამოცანები, თუმცა, მეორე მხრივ, აჩენს აკადემიური არაკეთილსინდისიერების საშიშროებას. როგორ უნდა შევაფასოთ სტუდენტის ცოდნა, როცა ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია დაწეროს ესე ან გადაჭრას რთული მათემატიკური ამოცანა? დღის წესრიგში დგება ახალი ამოცანა - გადავხედოთ შეფასების ტრადიციულ მეთოდებს და ვიფიქროთ უფრო კრეატიულ, ანალიტიკურ დავალებებზე, რომლებიც მოითხოვს კრიტიკულ აზროვნებას და არა შეკვეთილი ინფორმაციის მარტივად მიღებას (მათ შორის AI-ის გზით). მონაცემთა უსაფრთხოებასა და პერსონალური ინფორმაციის დაცვის რისკთან ერთად, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა ტექნოლოგიური უთანასწორობის საკითხი. ძვირად ღირებულ AI სისტემებზე წვდომა ყველას არ აქვს, რაც კიდევ უფრო აღრმავებს არსებულ უთანასწორობას. კიდევ ერთი სერიოზული პრობლემაა გამჭვირვალობის ნაკლებობაც. ხშირად რთულია გავიგოთ, როგორ მივიდა AI კონკრეტულ დასკვნამდე ან გადაწყვეტილებამდე. შეიძლება ეს პრობლემა ნაკლებად იგრძნობოდეს საგანმანათლებლო სფეროში ინფორმაციის მოძიების დროს (თუ საკითხი არ ეხება გარკვეული მიდგომების გამოყენებას მაგალითად, სსსმ ბავშვებთან), მაგრამ პრობლემურია ისეთ სფეროებში, სადაც გადაწყვეტილებებს სერიოზული შედეგები მოჰყვება (მაგალითად, სამედიცინო დიაგნოზები ან სასამართლო გადაწყვეტილებები). არანაკლებ მნიშვნელოვანია სანდოობისა და სიზუსტის საკითხი (და ამის არაერთი მაგალითის დასახელება შეგვიძლია). AI სისტემები შეიძლება შეცდეს ან მოგვაწოდოს დაუზუსტებელი ინფორმაცია. სწორედ ამიტომ აუცილებელია მონაცემების გადამოწმება, განსაკუთრებით - აკადემიურ სფეროში, სადაც სიზუსტე და სანდოობა უმთავრესია. ამ ყველაფერთან ერთად, ხელოვნური ინტელექტი აჩენს სამუშაო ბაზრის ტრანსფორმაციის საშიშროებასაც. არაა გამორიცხული, დროთა განმავლობაში, ხელოვნური ინტელექტის გავლენით, ზოგიერთი პროფესია რადიკალურად შეიცვალოს ან საერთოდ გაქრეს აქტიური პროფესიების ჩამონათვალიდან.

- როგორ ამოვიცნოთ ხელოვნური ინტელექტის დაწერილი ტექსტი?

- ბუნებრივია, პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, ვდგავართ ამ გამოწვევის წინაშე. ბოლო წლებში უნივერსიტეტი წარმატებით იყენებს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მექანიზმებს, მათ შორის ანტიპლაგის პროგრამას, დღეს კი ისევ დავდექით ახალი გამოწვევის წინაშე, რომელიც ასევე წარმატებით უნდა გადავლახოთ და, ვფიქრობ, ამაში ისევ ტექნოლოგიები დაგვეხმარება. სხვადასხვა ტიპის ტექსტებზე დაკვირვებით, შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რომელიც ხელოვნური ინტელექტის მიერ შექმნილ ტექსტებს გამოარჩევს. პირველ რიგში, საინტერესოა სტილისტური თავისებურებები. ხელოვნური ინტელექტის მიერ შექმნილი ტექსტი ხშირად ზედმეტად მოწესრიგებული და სტრუქტურირებულია. მასში რთულად იპოვით ადამიანის ნაწერისთვის დამახასიათებელ მცირე უზუსტობებსა და პირად თავისებურებებს. ხშირია განმეორებადი ფრაზები, ზოგადი მაგალითები კონკრეტული, პირადი გამოცდილების ნაცვლად, სტილიც ერთგვაროვანია. შინაარსობრივი თვალსაზრისით, AI-ის ტექსტებში ინფორმაცია ხშირად ზედაპირულია, აკლია სიღრმისეული დეტალები და კულტურული კონტექსტის ნიუანსები. განსაკუთრებით საყურადღებოა ფაქტობრივი უზუსტობები უახლეს მოვლენებთან დაკავშირებით. მის ტექსტებში იშვიათია, ასევე, მკვეთრად გამოხატული პოზიციები. რამდენადაც უცნაური უნდა იყოს, ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელი თითქმის იდეალური გრამატიკაა, რაც ხშირად საეჭვოა ადამიანის შემთხვევაში. იგი ნაკლებად იყენებს იდიომებს ან სლენგს, თუმცა გვხვდება უჩვეულო ან არაბუნებრივი სიტყვათწყობა; ხშირად აკლია კონკრეტული პროფესიული ან სოციალური ჯგუფისთვის დამახასიათებელი ენობრივი თავისებურებები. აკადემიურ კონტექსტში განსაკუთრებით საყურადღებოა არგუმენტაციის სტილი. ხელოვნური ინტელექტის მსჯელობა ხშირად ზედმიწევნით ლოგიკური და თანმიმდევრულია, მაგრამ აკლია ადამიანური აზროვნებისთვის დამახასიათებელი ემოციური ელემენტები, არგუმენტები ხშირად ზედმეტად დაბალანსებულია - თითქოს ცდილობს ყველა მხარე თანაბრად წარმოაჩინოს (გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ჩვენ არ მივცემთ შესაბამის მითითებას, უფრო არ დავაკონკრეტებთ დავალებას), თუმცა მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ არ მიგვაჩნია სწორად ჩამოთვლილი მახასიათებლების განზოგადება ყველა შემთხვევაზე. AI სისტემები სწრაფად ვითარდება და სულ უფრო რთული ხდება მათი ტექსტების ამოცნობა. ზოგიერთი ადამიანის წერის სტილი შეიძლება ბუნებრივად იყოს AI-ის მსგავსი და პირიქით - ხშირად გვხვდება შერეული ტექსტებიც, სადაც AI-ის მიერ შექმნილი ნაწილები კომბინირებულია ადამიანის მიერ დაწერილთან, თუმცა თუ ადამიანი გულდასმით არ დაარედაქტირებს ტექსტს, ეს განსხვავება ადვილად შესამჩნევია. ვფიქრობ, ხელოვნური ინტელექტის გზით მიღებული ინფორმაციის/წერის სტილის ცოდნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აკადემიურ სფეროში, რადგან იგი გვეხმარება არა მხოლოდ AI-ის ტექსტების ამოცნობაში, არამედ უკეთესი საგანმანათლებლო სტრატეგიების შემუშავებაში, რომლებიც წაახალისებს ორიგინალურ აზროვნებასა და შემოქმედებითობას.

- შესაძლებელია თუ არა ხელოვნური ინტელექტის დეზინფორმაციის გასავრცელებლად გამოყენება?

- დიახ, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევა, რომელიც ხელოვნური ინტელექტის განვითარებას ახლავს თან. მას აქვს უპრეცედენტო შესაძლებლობა, სწრაფად შექმნას და გაავრცელოს დიდი რაოდენობით დამაჯერებელი, მაგრამ ყალბი ინფორმაციაც. განსაკუთრებით საგანგაშოა ის, რომ ეს ტექნოლოგია საშუალებას იძლევა, შეიქმნას პერსონალიზებული დეზინფორმაცია სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის. კიდევ უფრო შემაშფოთებელია ყალბი ვიდეო და აუდიო კონტექსტის შექმნის შესაძლებლობა. ეს ტექნოლოგია იმდენად დახვეწილია, რომ დღითი დღე უფრო რთული ხდება ნამდვილი და ყალბი ინფორმაციის ერთმანეთისგან გარჩევა, რაც მუდმივი ყურადღების აუცილებლობაზე მიგვითითებს. ვფიქრობთ, განათლების სისტემაში, პირველ რიგში, საჭიროა ციფრული წიგნიერების დონის ამაღლება და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარება. პარალელურად, უნდა განვავითაროთ ფაქტების ავტომატურად გადამოწმების სისტემები და უზრუნველვყოთ მედიასაშუალებების მაქსიმალური გამჭვირვალობა. მნიშვნელოვანია, ასევე, საკანონმდებლო ბაზის განახლება ახალი გამოწვევების საპასუხოდ. საბოლოოდ გადამწყვეტი მაინც საზოგადოების თითოეული წევრის პასუხისმგებლობაა - შევამოწმოთ ინფორმაციის წყაროები და მხარი დავუჭიროთ სანდო საინფორმაციო პლატფორმებს.

- თქვენი აზრით, როგორ უნდა დავიცვათ ადამიანები დეზინფორმაციისგან მაშინ, როდესაც ხელოვნურ ინტელექტს ტექნიკურად უფრო სწრაფად შეუძლია ინფორმაციის გავრცელება?

- დეზინფორმაციასთან ბრძოლა ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა. მართალია, ეს ტექნოლოგია აჩქარებს ყალბი ინფორმაციის გავრცელებას, მაგრამ არსებობს მთელი რიგი ეფექტური მექანიზმებისა, რომლებიც შეგვიძლია გამოვიყენოთ საზოგადოების დასაცავად. პირველ რიგში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს განათლებას. დღეს, როგორც არასდროს, საჭიროა ადამიანებს ვასწავლოთ კრიტიკული აზროვნება. ეს გულისხმობს არა მხოლოდ ინფორმაციის წყაროების შეფასების უნარს, არამედ ლოგიკური მსჯელობის საფუძვლებსა და მანიპულაციური ტექნიკების ამოცნობას. განსაკუთრებული როლი ამ საკითხში ალბათ მაინც საზოგადოებრივ ინიციატივებს ეკისრება. აუცილებელია სანდო საინფორმაციო პლატფორმების შექმნა და მხარდაჭერა, მედიაწიგნიერების პროგრამების განვითარება. ამასთან, მნიშვნელოვანია

იხ. მე-9 გვ.

პოლარიზაცია კვლავ უდიდეს პრობლემად რჩება

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

„ობიექტური“, „სამართლიანი“, „არადემოკრატიული“, „გაყალბებული“ არჩევნები - სწორედ ასე რადიკალურად განსხვავებულად აფასებენ მმართველი გუნდისა და ოპოზიციის წარმომადგენლები 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებს, რომელმაც ხელისუფლება და ოპოზიცია ერთმანეთს კიდევ უფრო დააპირისპირა. უდავოა, რომ საქართველოში პოლიტიკური ტემპერატურა მაღალია, პროცესები - მრავალგვაროვანი და დამფიქრებელი. მმართველი პარტია - დამაჯერებელ გამარჯვებაზე, ოპოზიცია კი გაყალბებულ არჩევნებზე საუბრობს და პარლამენტში შესვლაზეც უარს აცხადებს. ხელისუფლების წარმომადგენლების თქმით, არჩევნებმა ცხადყო, რომ მმართველი პარტია კვლავ პოპულარულია, ხოლო ოპოზიცია - დაქსაქსული. თავის მხრივ, ოპოზიცია ამტკიცებს, რომ მათ აქვთ უტყუარი მასალები არჩევნების გაყალბების შესახებ. ანალიტიკოსთა თქმით, თუ დასავლეთი არ აღიარებს არჩევნების ლეგიტიმურობას, ეს საქართველოსთვის დამღუპველი იქნება, რადგან ქვეყანა იზოლაციაში აღმოჩნდება, რაც სწორედ რუსეთის სანუკვარი მიზანია. ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია: საქართველოს ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო

რას უნდა ველოდოთ? როგორ განვითარდება მოვლენები? რა კონტურები ჩანს პოლიტიკურ ჰორიზონტზე? - ამის თაობაზე საკუთარ თვალსაზრისს გვიზიარებს „სტრატეგია აღმაშენებლის“ აჭარის ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი ***ლუკა შუტკარაძე.***

- როგორ აფასებთ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებს?

- წლევანდელ საპარლამენტო არჩევნებს საკმაოდ კომპლექსური შეფასება სჭირდება, რადგან ის ადგილობრივი და საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხებს ეხება. ეს არჩევნები საქართველოს პოლიტიკური განვითარებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, საქართველოს დემოკრატიულად ევროპისკენ სვლას ან განუვითარებელ, ჩაკეტილ სოციალურ წრეში ყოფნას გულისხმობს. სამწუხაროდ, ეს არჩევნები კვლავ იყო ხელისუფლების მიერ მითვისებული, რაშიც საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია დაეხმარა. მეორე მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ წელს არჩევნებზე მოსახლეობის უმრავლესობა მივიდა, რაც იყო 2012 წლის მონაცემებზე მეტი, როცა შეიცვალა ხელისუფლება და ეს ყველაფერი ეჰვგარეშე ცხადყოფს, რომ მოსახლეობამ ხმა მისცა ცვლილებებს.

- კიდევ რა ცხადყო ამ არჩევნებმა საშინაო და საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით?

- მან ცხადყო, რომ ქვეყანაში პოლიტიკური სისტემა კვლავაც დამფიქრებლად პოლარიზებულია, რაც ეროვნულ ერთობას და საერთო მიზნების მიღწევას ართულებს. საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით, არჩევნები განსაზღვრავს საქართველოს ურთიერთობებს დასავლეთთან, მათ შორის ევროკავშირსა და აშშ-სთან, რადგან მათთვის დემოკრატიული პროცესების ხარისხი მნიშვნელოვანია.

- ოპოზიცია ამბობს, რომ არჩევნები გაყალბდა, მმართველი პარტია საპირისპიროს აცხადებს. თქვენი არგუმენტები რამდენად დამაჯერებელია?

- ოპოზიციისა და მმართველი პარტიის შეფასებები არჩევნებთან მიმართებით განსხვავებულია. მხარეთა პოზიციების დამაჯერებლობა დამოკიდებულია არა მარტო მათ განცხადებებზე, არამედ საერთაშორისო დამკვირვებელთა შეფასებებზე და დამოუკიდებელი მონიტორინგის შედეგებზე. საბოლოოდ, ყველა ევროპული სადამკვირვებლო ორგანიზაცია და ჩვენი პარტნიორები აფიქსირებენ, რომ არჩევნების შედეგები არ შეესაბამება მოსახლეობის უმრავლესობის ევროპულ, თავისუფალ ნებას.

- მმართველი გუნდი კარგა ხანია აცხადებს, რომ ოპოზიციის მიზანი ქვეყნის დესტაბილიზაციაა...

- მმართველი პარტიის განცხადებები, რომ ოპოზიციის მიზანი დესტაბილიზაციაა, შესაძლოა პოლიტიკურად მოტივირებული იყოს, ანუ ხელისუფლება ამით საკუთარ ამომრჩეველზე მუშაობს.

- ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ევროპარლამენტართა და დასავლეთის სახელმწიფოთა ნაწილმა უარყოფითად შეაფასა არჩევნები. ეს რისი მანიშნებელია?

- მათი შეფასებები თუ უარყოფითია, თუ საერთაშორისო საზოგადოება არჩევნების ლეგიტიმურობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, ეს მიუთითებს დემოკრატიული პროცესების ხარისხის პრობლემაზე, რაც ქვეყნის იმიჯს აზიანებს და ევროინტეგრაციის მიმართულებით გამოწვევებს ქმნის.

- ოპოზიციის ცალკეული ლიდერები აცხადებენ, რომ არ შევლენ პარლამენტში. ამ მხრივ იგი რამდენად ერთიანია?

- ოპოზიცია პარლამენტში არშესვლასთან დაკავშირებით ერთიანია, რადგან მას მაგალითად აქვს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები და ვფიქრობ, ბოლომდე იბრძოლებენ ქართველი მოსახლეობის ხმების დასაცავად.

- „ნაცმოძრაობა“, „კოალიცია ცვლილებისთვის“ და „ლელო“ აცხადებენ, რომ წარადგენენ სამოქმედო გეგმას. მოკლედ გვიამბეთ ამის შესახებ...

- ოპოზიციური პარტიების ერთობლივი გეგმა, ძირითადად, ითვალისწინებს პარლამენტში არშესვლას, დემოკრატიული პროცესების გაძლიერების და რიგი პოლიტიკური ცვლილებების მოთხოვნას, ასევე, დეტალური ინფორმაციის მიღებას ცესკოდან, თუ რატომ იყო ვერიფიკაციის აპარატებში ერთიანი სია მხოლოდ გვარებით ჩატვირთული, რატომ აძლევდა მათ მიერ დანიშნული ოლქის რეგისტრატორი კომისიის წევრი კონკრეტულ ამომრჩევლებს 2 ბიულეტენს...

- ექსპერტთა ნაწილი არ გამორიცხავს ოპოზიციის გარკვეული წარმომადგენლების გარიგებას ხელისუფლებასთან პარლამენტში შესვლასთან დაკავშირებით.

- საბოლოოდ, მმართველ პარტიასთან შეთანხმებაზე პოლიტიკური პარტია შესაძლოა, წავიდეს, თუ მათი ინტერესებისა და მომავალი პოლიტიკური კომპრომისის გატარების შესაძლებლობა იქნება, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში გვაქვს სამი ძლიერი კოალიცია და დამატებით - „გახარია საქართველოსთვის.“ ოთხივე პროევროპულია და არავის მისცემენ საშუალებას, საქართველოში რუსული რეჟიმი გახანგრძლივდეს.

- თუ დასავლეთმა და შეერთებულმა შტატებმა არჩევნების ლეგიტიმურობა არ აღიარეს, ეს რამდენად დააზიანებს საქართველოს იმიჯს?

- თუ დასავლეთი არჩევნებს არ აღიარებს, ეს სერიოზულად დააზიანებს საქართველოს რეპუტაციას და ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაციის პერსპექტივებს.

- ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ, ოპოზიციისგან განსხვავებით, ხელისუფლება თავდაჯერებულია. მაგალითად, ისინი აცხადებენ, რომ უნდა აიკრძალოს „ნაცმოძრაობა“ და მასთან აფილირებული პარტიები.

- მმართველი პარტიის ეს მოთხოვნა შეიძლება, უფრო მეტად პოლიტიკური მიზნით იყოს ნაკარნახევი (რუსეთისგან), თუმცა ასეთმა გადაწყვეტილებამ შესაძლოა, დამატებითი დაძაბულობა გამოიწვიოს და საერთაშორისო კრიტიკა გააჩინოს.

- საგარეო საკითხსაც შევეხოთ: რამდენად რეალურია საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის შეჩერება?

- ის დამოკიდებულია შიდაპოლიტიკურ სტაბილურობასა და იმაზე, რამდენად შეესაბამება ქვეყანა დემოკრატიულ სტანდარტებს. ევროკავშირი მუდმივად აფასებს ქვეყნების პროგრესს და ამ მიმართულებით არსებულ გამოწვევებს. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, საკითხი პირდაპირ დაკავშირებულია იმასთან, თუ როგორ წარიმართება მიტაცებული არჩევნების პროცესები.

- და მაინც, პროცესების როგორ განვითარებას ელოდებით არჩევნებზე?

- ჩვენ ვიხილავთ ოპოზიციური და სამოქალაქო პროტესტის აქტიურობას, მმართველი პარტიის მხრიდან კი დესტაბილიზაციის თავიდან აცილების მცდელობებს. მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერა.

- დაბოლოს, ვხედავთ, რომ მიმდინარეობს მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება. რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ და, ასევე, პოლიტიკურმა სპექტრმა, რუსულ ორბიტაზე რომ არ აღმოვჩნდეთ?

- საქართველოს ხელისუფლებამ და პოლიტიკურმა სპექტრმა უნდა გააძლიერონ დასავლური კურსი, დაკმაყოფილონ საერთაშორისო სტანდარტები და უზრუნველყონ დემოკრატიული პრინციპების დაცვა, მაგრამ ნათელია, რომ ხელისუფლება ამას არ გაკეთებს, ვინაიდან ის უკვე ბოლომდე მოქცეულია და ცდილობს, საქართველოც სრულად მოაქციოს რუსული გავლენის ქვეშ, რასაც, რა თქმა უნდა, საქართველოს მოსახლეობა არ დაუშვებს.

აზრთა ჭიდილში იბადება ჭეშმარიტება

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

26 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ოპოზიცია მეტი დაჟინებით ამტკიცებს, რომ ქართული პოლიტიკური საჭადრაკო დაფა ცვლილებას მოითხოვს, რასაც, ცხადია, მმართველი პარტია არ იზიარებს. ერთი რამ უდავოა, აწმყოს, ამყამინდელი ვითარების განსჯა და შეფასება ხვალინდელი, უკეთესი მერმისის საწინდარია, ამიტომაც უპრიანია, ყურადღებით მოვეკიდოთ როგორც პოზიციის, ისე ოპოზიციის წარმომადგენელთა თვალსაზრისს. ამჯერად ვესაუბრებით „გირჩი - მეტი თავისუფლების“ აჭარის ორგანიზაციის ლიდერ ***თემურ გორგაძეს.***

- როგორ შეაფასებთ საპარლამენტო არჩევნებს?

- არჩევნები არ გვქონია! როგორც საქართველოს პრეზიდენტმაც განაცხადა, ეს იყო რუსეთის მიერ საქართველოში ჩატარებული სპეცოპერაცია სახელწოდებით „როგორ მოვპაროთ ქართველ ხალხს არჩევანის უფლება“. სამწუხაროდ, ეს ასეა და ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ეს სპეცოპერაცია არჩევნებად აღიარა ვანუატუმ, ტუალუმ, ვენესუელამ და სხვა მსგავსმა ქვეყნებმა, რომელთა დიდ ნაწილს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთიც აქვთ აღიარებული, როგორც სახელმწიფოები.

- რა ცხადყო ამ არჩევნებმა საშინაო და საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით?

- 26 ოქტომბრის შემდეგ ყველასთვის ცხადი გახდა ხელისუფლების მიზანი - ძალაუფლების შენარჩუნება ნებისმიერ ფასად. ქვეყნის შიგნით ყველა ოპოზიციური ძალა გაერთიანდა, რათა მოქალაქეებმა დაიბრუნონ სახელმწიფო. იგივე იგრძნობა ქვეყნის გარეთაც. დასავლელმა მეგობრებმა მკაფიო მესიჯები გამოგვიგზავნეს და არჩევნების ლეგიტიმურობა არ ცნეს. საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ „ქართული ოცნება“ რეალურად რუსული ოცნებაა და ქვეყანას რუსეთში მიათრევს... ცდილობს...

- ოპოზიცია, მათ შორის, თქვენც აცხადებთ, რომ არჩევნები გაყალბდა, მმართველი პარტია კი საპირისპიროს ამტკიცებს. რაიმე ხელშესახები ფაქტები გაქვთ ამ მხრივ?

- რაც შეეხება ფაქტებს, მოდით, მარტივ ფაქტს მოგიყვანთ. განა სარწმუნოა, რომ ამ ქვეყანაში ყოველი მეორე რუსეთის მხარდამჭერია?! ანდა - მმართველი პარტიის მხარდამჭერი?! რომ „ქართულმა ოცნებამ“ იმდენივე ხმა აიღო, რამდენიც 2012-ში და ყველა იმ არჩევნებზე მეტი, 2012-ის მერე რომ ჩატარებულა?! ამის უარმყოფელი ფაქტი უამრავია. არსებობს რეგიონები, სადაც ხმის მიცემის უფლების მქონე ადამიანზე მეტი ხმა აიღო „ოცნებამ“ (აქ არ იგულისხმება იმ რეგიონში მცხოვრები). არსებობს ფაქტები, რომ მმართველმა პარტიამ ერთი ადამიანი 30 უბნის ბაზაში ჩატვირთა და უბან-უბან ატარა ხმის მისაცემად. ასეთი ფაქტები მედიაშიც გახმიანდა. სიტყვა „კაპიტანი“ შეაზიზღა „ოცნებამ“ ხალხს. ხაშურელი მეწარმე ქალების ამბავი უკვე ანეკდოტადაა ქცეული. ვისაც დანახვა უნდა, ხედავს, ხოლო რუსული „ოცნებისგან“ სარგებელს ვინც იღებს, ის ვერაფერს დაინახავს. დარღვევების თვითმხილველები ის დამკვირვებლები და წარმომადგენლები არიან, რომლებიც იმყოფებოდნენ საარჩევნო უბნებზე. იწერებოდა საჩივრები, ფოტოების და ვიდეოების სახით ხდებოდა დარღვევის ფაქტების გადაღება.

- მმართველი პარტია აცხადებს, რომ ოპოზიციის მიზანია ქვეყნის დესტაბილიზაცია, რასაც ხელისუფლება არ დაუშვებს...

- მმართველი პარტია კი არა და... რუსეთის ფილიალია საქართველოში. მათ საქართველოს მომავალი წაართვეს და ქვეყნის რუსეთში შეთრევა უნდათ. ეგ ხალხი ბევრ რამეს აცხადებს... მათ არ აქვთ არანაირი უფლება, ისაუბრონ ქვეყნის სახელით - ხალხს ისინი არ აურჩევია.

- ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ საქართველო 2030 წელს ევროკავშირის წევრი იქნება...

- ხელისუფლება კი აცხადებს, მაგრამ ევროკავშირი სხვა რამეს ამბობს. ამ მხრივ მოლაპარაკებები უკვე შეწყდა, რეკომენდაცია არ გაიცა მომდევნო ეტაპზე გადასასვლელად.

- „არ ვაპირებ არჩევნების აღიარებას, რადგანაც ამის აღიარება არის რუსეთის შემოსვლის აღიარება ქვეყანაში“, - აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი. ეს რისი მანიშნებელია?

- დიახ, რუსეთის ბატონობის აღიარებას ნიშნავს ამის აღიარება, რადგან ამ არჩევნების შედეგებს თუ დავუშვებთ, ვეთანხმებით, რომ ხალხმა აირჩია რუსეთი, რაც სიმართლე არაა. რუსული კანონის წინააღმდეგ გამართული აქციების რაოდენობა აჩვენებს იმას, თუ რა სურს ხალხს, ამიტომაც ცხადია, რომ მოგვპარეს არჩევნები. პრეზიდენტი არ აღიარებს, ამერიკა არ აღიარებს, ევროკავშირი არ აღიარებს... და ვინ აღიარებს?! რუსეთი, ვანუატუ, ტუალუ, ვენესუელა... ამითაც კი მარტივი გასაგებია, რომ ეს არა არჩევნები, არამედ, რუსეთის გუბერნიად გაფორმების მცდელობა იყო.

- მმართველი პარტიის წევრები აცხადებენ, რომ საქართველოს პრეზიდენტი ანტისახელმწიფოებრივად მოქმედებს და საზღვარგარეთ ქვეყნის იმიჯს თანმიმდევრულად აზიანებს...

- მმართველი პარტიის წევრები - არა, რუსული რეჟიმის წარმომადგენლები საქართველოში აცხადებენ, რომ პრეზიდენტი, დასავლეთი, აშშ, ევროპა, ყველა არასწორად მოქმედებს და სწორად მხოლოდ რუსეთი იქცევა. ჩვეულებრივ, პრეზიდენტის გაშავებით არიან დაკავებულნი, სურთ ხალხში შიში დათესონ და პრეზიდენტის ინსტიტუტი გამოაცალონ წინააღმდეგობის ამ მუხტს.

- „ნაცმოძრაობა“, „კოალიცია ცვლილებისთვის“, „ძლიერი საქართველო“ სამოქმედო გეგმებზე საუბრობენ, რომელთა არსი ისაა, რომ არ აღიარებენ ამ პარლამენტს და შეეცდებიან ახალი არჩევნების ჩატარებას...

იხ. მე-9 გვ.

მუხამედ ირემაძე აბუსერისძე ტბელის ორდენით დაჯილდოვდა

დაარსების დღიდან ხულოს კულტურის ცენტრთან არსებულ უხუცესთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ბერმუხის“ წევრი იყო ირემაძეებელი მუხამედ ირემაძე. საუკუნე უკან რომ მოიტოვა, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, სცენას ჩამოშორდა

102 წლის ხელოვანს გაწეული ამაგი დაუფასეს და აბუსერისძე ტბელის ორდენით დააჯილდოვეს. საპატიო ჯილდო ამაგდარ ხელოვანს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძემ და ხულოს მუნიციპალიტეტის ყოფილმა მერმა, 26 ოქტომბერს აჭარის უმაღლეს საბჭოში დელეგატად არჩეულმა ვახტანგ ბერიძემ ბინაზე გადასცეს.

- ქართული ეროვნული ხელოვნების სიყვარულით, მრავალი წელი ვიღვაწე სცენაზე. მადლობა გაწეული შრომის საფასურად მიღებული ამ ჯილდოსთვის, - თქვა მუხამედ ირემაძემ.

„შემოდგომა ქედაში“

წლებია, სახალხო ზეიმით აცილებენ ქედელები ყველაზე ბარაქიან პერიოდს - შემოდგომას. გამონაკლისი არც წლევანდელი ხვავიანი შემოდგომაა. აქაურები, ჭირნახულის აღება-დაბინავების შემდეგ, დიდპატარიანად ზეიმზე მოდიან

წელს სახალხო დღესასწაული „შემოდგომა ქედაში“ 9 ნოემბერს გაიმართება. ღონისძიების პროგრამა საკმაოდ დატვირთულია. მოეწყობა ფოტოკონკურსი „ტურიზმი ქედაში“, პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა, ჩატარდება კულინარიული მასტერკლასი. სტუმრები ქედის ღვინის მარნებისა და ადგილობრივი მეღვინეების მიერ წარმოდგენილ ღვინოებს დააგემოვნებენ; დაესწრებიან ღვინის საწნახელში დაწურვისა და ჭაჭის გამოხდის იმიტირებულ პროცესს. გაიმართება სპორტული აქტივობები, მოზეიმეებს ანიმატორები და ზღაპრების გმირები გაართობენ. ბავშვებს ნაყინითა და პოპკორნით გაუმასპინძლდებიან, მათ სახის მოხატვაც შეეძლებათ. სახალხო ფესტივალს „შემოდგომა ქედაში“ მუსიკალურად ქედის კულტურის ცენტრთან არსებული ფოლკლორული ანსამბლები, ინდივიდუალური შემსრულებლები, ადგილობრივი ბენდი, მოწვეული ბენდები „ურსა“ და „გოგლაურა“, ინდივიდუალური შემსრულებლები ჰასან მესხიძე და გიორგი მაზმიშვილი გააფორმებენ. საღამოს ახალგაზრდების განწყობაზე DJ „მზმ“ იზრუნებს.

ზეიმი, რომელიც ფრიდონ ხალვაშის სახელობის ცენტრალურ პარკში გაიმართება, „საპატიო ქედელების“ დაჯილდოებითა და გრანდიოზული ფოიერვერკით დასრულდება.

„ჩემთვის დარაბებაჭედილი სახლები ტრაგედიის ტოლფასია“

თემურ ზოიძე *შუახევის მუნიციპალიტეტის ბრილის საჯარო სკოლის დირექტორია. პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად, ლექსებსაც წერს. უკვე გამოსაცემად მზად აქვს ლექსების პირველი კრებული. იგი ჩვენი სტუმარია.*



- ბატონო თემურ, ყოველი ადამიანისთვის დიდი პატივია, თავისი ცოდნა, გამოცდილება, შესაძლებლობა მოახმაროს მშობლიურ სოფელს...

- მართლაც უდიდესი პატივია, იყო ხალხის, სოფლის მსახური. როცა გიყვარს შენი საქმე, გიყვარს ბავშვები, ვალდებული ხარ, ემსახურო მათ გულით, რწმენით, ერთგულებით. ერთი სიტყვით, „აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“.

- ყველა პირველ გზამკვლევს ემადლიერება...

- კარგი პედაგოგები მყავდა, ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, თუმცა ერთი მაინც უნდა დავასახელო: ქართული ენის მასწავლებელი, ჩემი დიდი სეხნია და ბიძაშვილი თემურ ზოიძე. თუ რამეს წარმოვადგენ, თუ რამე შევძელი, ნამდვილად მისი დამსახურებაა.

- პედაგოგის რთული და საპატიო პროფესია გარემოებათა კარნახით აირჩიეთ თუ საკუთარი სურვილით?

- საკუთარი სურვილით. ძალიან მიყვარდა ქართული ენა და ლიტერატურა, თუმცა, რატომღაც, ისტორიის სპეციალობა ავირჩიე.

- სკოლის დირექტორად თქვენი მუშაობის წლებში ბრილში ქართული სკოლის აღდგენის 90 წლის იუბილე აღინიშნა. ამასთან დაკავშირებით, თქვენი და აკაკი ზოიძის ავტორობით გამოიცა წიგნი „სოფლის ჩირაღდანი“. საუკუნოვან იუბილეზე რას აპირებთ?

- „სოფლის ჩირაღდანი“, ვფიქრობ, საინტერესო ჩანაფიქრი იყო სკოლის საიუბილეო დღესთან დაკავშირებით. 2029 წელს საუკუნოვანი იუბილე გვაქვს. უკვე ვიჭერთ ამისთვის თადარიგს. რამდენიმე დღის წინ ბრილში გვსტუმრობდა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, რომელმაც გვახარა, რომ მალე ჩვენთანაც სკოლის ახალი შენობის მშენებლობა დაიწყება. ვმუშაობ ახალ წიგნზე „ბრილი“, რომელიც იუბილემდე დაიბეჭდება.

- ვინ შეგიწყოთ ხელი სკოლის დაარსების 90 წლისთავის აღნიშვნასა და წიგნის გამოცემაში?

- ღონისძიების მომზადებაში ერთობლივად ვიყავით ჩართული სკოლის კოლექტივი, კურსდამთავრებულები, სოფლის აქტივი. რაც შეეხება წიგნს, ფინანსური მხარდაჭერა ჩემმა ყოფილმა მოსწავლეებმა, საკმაოდ წარმატებულმა ბიზნესმენებმა, ძმებმა გიორგი და ირაკლი ბოლქვაძეებმა ითავეს. ყველას კიდევ ერთხელ დიდი მადლობა.

- რა წვლილი შეაქვს სოფლის ინტელიგენციას იმაში, რომ ბრილი „კერამიკის სოფლად“ გადაიქცეს და სამთო ტურიზმი განვითარდეს?

- სოფლის ინტელიგენცია ყველა წამოწყებას უდგას გვერდით. ბრილის „კერამიკის სოფლად“ გადაქცევის საქმეში აქტიურადაა ჩართული სკოლის პედაგოგი გუგული ბოლქვაძე, მასთან ერთად მოსწავლეებიც. რამდენიმე ფესტივალი ჩატარდა, რომელშიც ჩვენც ვმონაწილეობდით. სოფელი პირველ ნაბიჯებს დგამს სამთო ტურიზმის განვითარებისთვის. ორჯერ ჩატარდა ტურნირი თხილამურებით სრიალში, სკოლაც აქტიურად იყო ჩაბმული. ბრილის თიხა, სამთო ტურიზმი - ვფიქრობ, ესაა ბრილის გადარჩენის ერთ-ერთი საშუალება.

- ლექსების წერა როდის დაიწყეთ?

- მეექვსე თუ მეშვიდე კლასის მოსწავლე ვიყავი, როცა პირველი ლექსი დავწერე და საბავშვო ჟურნალში გავგზავნე. რა თქმა უნდა, არ დაბეჭდეს, თუმცა წერილი მომწერეს: „...ნუ ჩქარობ ლექსის წერას... იკითხე დიდი პოეტები, მერე კი ყველაფერი თავისით მოვა“. პოეზია ჩემთვის ყველაფერია, ვკითხულობ თითქმის ყოველთვის... და როცა ოცნებებით გულანთებული აქაურ მთებს შეხედავ, აქაურ პეიზაჟს თვალს შეავლებ, მუზაც გეწვევა და ლექსიც ამეტყველდება შენში.

- წიგნის გამოცემას როდის აპირებთ?

- თვეებია, არც პრესაში დამიბეჭდავს ლექსი და არც სოციალურ ქსელში გამომიქვეყნებია. მიზეზი ისაა, რომ მთლიანად ჩართული ვარ ახალი კრებულის მომზადებაში. ვფიქრობ, მალე გამოიცემა.

- თქვენს შემოქმედებაში რა თემატიკა სჭარბობს?

- არა მგონია, ვინმემ ლექსების წერა დაიწყოს და სამშობლოს არ მიუძღვნას, სიყვარულზე არ დაწეროს. მეც ვწერ პატრიოტულ ლექსებს, სიყვარულზეც, მაგრამ ყველაზე მთავარი ჩემთვის ბუნებაა, განსაკუთრებით მთები... მომავალი წიგნის სათაურიც მასთან დავაკავშირე: „მთაო, გადმიშვი...“.

- ეგრეთ წოდებულ მეხოტბე პოეტებზე რას იტყვით?

- ღირსეულ მამულიშვილს, გამოჩენილ ადამიანს სახოტბო ლექსი კი არ უნდა მიუძღვნა, ძეგლი უნდა დაუდგას კაცმა, მაგრამ ვინც პირფერობით, მლიქვნელურად, გამორჩენის მიზნით გააკერპებს ვინმეს, „..მოშაირე არა ჭქვიან...“.

- თქვენი აზრით, რა ბედი ელის ქართულ სოფელს, თუნდაც ბრილს?

- ძალიან სენსიტიური თემაა, ყოველთვის გულისტკივილით ვფიქრობ ამ პრობლემაზე. ჩემთვის დარაბებაჭედილი სახლები ტრაგედიის ტოლფასია. ყველა სოფელი ერთნაირ გასაჭირშია, იცლება და დროზე უნდა შველა... თუმცა ბუნებით ოპტიმისტი ვარ და მჯერა, რომ გამოჩნდება „გზა ხსნისა“.

- ჭვანის ხეობაში წერდნენ ლექსებს შოთა, ზურაბ, აკაკი ზოიძეები, რომლებიც წუთისოფელში აღარ არიან, მათი გზის ერთგვარი გამგრძელებელი ხართ. უკვე პოეზიას ეჭიდება ბრილელი ყმაწვილი ლუკა ზოიძე...

- ჩამოთვლილ პოეტებს მე ვერ შევედრები და არც პრეტენზია მაქვს, თუმცა უნდა დაგეთანხმოთ, რომ ამ გვარს პოეზიის განსაკუთრებული სიყვარული აქვს. ლუკა ზოიძე ჩემი მოსწავლეა, ძალიან ნიჭიერი. ვფიქრობ, კარგი მომავალი ექნება. წარმატებებს ვუსურვებ.

- ვის სთხოვეთ პირველად თქვენი ლექსების შეფასება?

- ეს იყო ჩვენი საამაყო პოეტი, აწ განსვენებული ბატონი ზურაბ ზოიძე. მან პირველმა წაიკითხა ჩემი ლექსები, დიდი სიამოვნებით გავითვალისწინე მისი შენიშვნები, რჩევები.

- სკოლის დირექტორი, პედაგოგი, ოჯახითაც მისაბაძი ხართ...

- ყველაზე დიდი მეგობარი მეუღლეა. გვქონია პრობლემური სიტუაციებიც, მაგრამ მისგან ყოველთვის ვგრძნობდი თანადგომას, სამი შვილი და ხუთი შვილიშვილი მყავს. შვილები ქალაქში მუშაობენ, შვილიშვილებიც ქალაქის სკოლებში სწავლობენ, თუმცა ძალიან მეამაყება, რომ გულით უყვართ სოფელი. ამაგის დაფასება ჩემთვის ისაა, რომ კარგი ავტორიტეტით სარგებლობენ. საერთოდ, ოჯახი ქვეყნის ბალავარია. ჩვენ მდიდარი ადათ-წესები გვაქვს. მათ დაცვა-შენარჩუნება სჭირდება. კარგია, რომ 17 მაისი ოჯახური სიწმინდის და უქმე დღედ გამოცხადდა. ყოველი დღე ოჯახური სიწმინდის დაცვაზე უნდა ვიყოთ ორიენტირებულნი.

- საზოგადოება „ქართულის“ შექმნით დაიწყო მოძრაობა მშობლიური ენის სიწმინდის დასაცავად...

- ენას დაცვა, შველა სჭირდება, გაივსო ბარბარიზმებით. ყველა დიდ შეცდომას ვუშვებთ, როცა მშობლიურის ნაცვლად, უცხოურ სიტყვებს ვამკვიდრებთ. უმდიდრესი ენა გვაქვს და უნდა ვამაყობდეთ ამით. ქართული ენის, დამწერლობის უნიკალურობა ჩვენი კულტურული თვითმყოფადობის სიმბოლოა და ასე უნდა დარჩეს, მდიდარ ქართულ ლიტერატურულ მემკვიდრეობას კი თაობები უნდა გაეცნონ.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

„ნიჭიერის“ სცენაზე დაბადებული ახალი ვარსკვლავი – ბათუმიდან

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

გაგაცნობთ მუსიკალური შოუ „ნიჭიერის“ აღმოჩენას, 21 წლის ***მარიამ მოსეშვილს,*** *რომელმაც ჟიურის და მაყურებლის აღფრთოვანება დაიმსახურა. მეგაშოუს წამყვანებმა თაკომ და ნუკიმ ტალანტი დარბაზში იპოვეს. მარიამის საოცარმა შესრულებამ თიკა ფაცაციას „ოქროს ღილაკი“ დაიმსახურა და პირდაპირ ნახევარფინალში მოხვდა.*

- რა ჟანრის სიმღერებს ასრულებთ და რომელი მიმდინარეობაა თქვენთან ყველაზე ახლოს?

- მინდა აღვნიშნო, რომ თითქმის ყველა ჟანრის სიმღერა მიმღერია - სოულიც, ჯაზიც, ბლუზიც, ფანკიც, პოპიც, ქართულიც, თუმცა ჯაზი ჩემთან ყველაზე ახლოსაა. სწორედ ის მაძლევს შინაგან თავისუფლებას, არ მაკარგვინებს ბუნებრიობას. ჩემთვის ჯაზს ჩარჩო არ გააჩნია - ხარ ისეთი, როგორიც ხარ და სცენაზე ყველაზე კარგად გამოხატავ ამ დროს საკუთარ თავს.

- რას გრძნობთ, როცა ფართო აუდიტორიის წინაშე მღერით?

- როგორც ყოველი შემსრულებლისთვის, ჩემთვისაც, ცხადია, დიდი პასუხისმგებლობაა ფართო აუდიტორიის წინაშე გამოსვლა, ამავე დროს, ძალიან სასიამოვნო. ჩემთვის, პირველ რიგში, აუცილებელია მსმენელს ჩემი შესრულებით მივანიჭო სიამოვნება. ჯაზი ჩვენთან ჯერჯერობით არ არის ისე ფართოდ გავრცელებული, ყველას რომ მოსწონდეს, თუმცა ვცდილობ, ნამღერით მეც მაქსიმალური სიამოვნება მივიღო, რომ შემდგომ ეს მუხტი მსმენელზეც გადავიდეს. ვფიქრობ, ეს შევძელი. დღემდე არ წყდება ჩემს „ინბოქსში“ წერილები. მწერენ, რომ ჯაზს არ უსმენენ, მაგრამ ჩემი მოსმენის შემდეგ ეს ჟანრი ძალიან მოსწონთ. ამაზე მნიშვნელოვანი მომღერლისთვის რა უნდა იყოს? ჩემს აუდიტორიას თავი დავამახსოვრე და ეს ჩემთვის უკვე გამარჯვებაა.

- პირველ წარმატებას რა ასაკში მიაღწიეთ?

- წარმატებას ძალიან ინდივიდუალური გაგება აქვს. ჩემთვის წარმატებაა ყოველი ის მომენტი, როცა კომფორტის ზონიდან გამოვ-

დივარ და საკუთარ თავთან ბრძოლაში ვიმარჯვებ. ჩემი პირველი კონკურსი იყო თბილისში, მაშინ ძალიან პატარა - 10 წლის ვიყავი. საკმაოდ ცნობილი კონკურსი იყო, სამწუხაროდ, სახელი არ მახსოვს. ლილიკო ნემსაძის „თბილისო“ შევასრულე. ვნერვიულობდი და დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობდი, რადგან ქართული სიმღერა ჩემთვის სულ სხვა სამყაროა, იმდენად დიდი გულწრფელობა სჭირდება არა მხოლოდ ხმაში, თვალებშიც. მოძრაობებიც კი ამ დროს ბუნებრივი უნდა იყოს, მსმენელი შენი მოსმენით რომ არ დაიღალოს. 10 წლის მარიამმა შეძლო მისი შინაგანი სამყაროს სცენაზე გადმოტანა და მაყურებელს აჩვენა, იმ წამს რას გრძნობდა. სხვათა შორის, დიდი გამოხმაურება მოჰყვა მაშინ ამ ნამღერს. სწორედ ეს კონკურსი იყო ჩემთვის ტრამპლინი და ამის შემდეგ დაიწყო მნიშვნელოვანი მიღწევები.

- როგორ მოხვდით პროექტ „ნიჭიერში“? ის, რომ დარბაზიდან აგიყვანეს სცენაზე, შოუს ნაწილი იყო?

- მიხარია, რომ თქვენი საშუალებით გაეცემა ამ კითხვას პასუხი, რადგან ძალიან ბევრ ადამიანს აინტერესებს, როგორ მოვხვდი პროექტში და იყო თუ არა ეს დადგმული. მე და ჩემი მეგობრები ჩემი ერთ-ერთი მეგობრის შვილის საგულშემატკივროდ ვიყავით მისულები და დარბაზში სამივე ერთად ვისხედით. ალბათ, უფლის ნება იყო ის, რომ იმ წამს, როდესაც ჟიურის წევრები დარბაზში ჩამოვიდნენ, იქ აღმოვჩნდი. ჩემმა მეგობრებმა იცოდნენ, რომ დიდ სცენაზე გამოსვლა მინდოდა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ გამოვდიოდი. როდესაც წამყვანებმა იკითხეს, არის თუ არა დარბაზში ვინმე ნიჭიერი, რომელმაც რეგისტრაციის გავლა ვერ მოასწროო, მეგობრებმა უთხრეს, ეს გოგონა მღერისო. წამყვანებმა გადაწყვიტეს, რომ სცენაზე ავეყვანე, გამონაკლისი დაუშვეს, მომანიჭეს ნომერი, ვიმღერე და... ეს დღე, ალბათ, მთელი ცხოვრების განმავლობაში ჩემთვის ყველაზე დასამახსოვრებელი იქნება.

> ***„ ძალიან ბევრ ადამიანს აინტერესებს, როგორ მოვხვდი პროექტში და იყო თუ არა ეს დადგმული. მე და ჩემი მეგობრები ჩემი ერთ-ერთი მეგობრის შვილის საგულშემატკივროდ ვიყავით მისულები და დარბაზში სამივე ერთად ვისხედით. ალბათ, უფლის ნება იყო ის, რომ იმ წამს, როდესაც ჟიურის წევრები დარბაზში ჩამოვიდნენ, იქ აღმოვჩნდი***

- ელოდით თუ არა „ოქროს ღილაკს“ და რა ემოცია დაგეუფლათ, როცა გაიგეთ, რომ პირდაპირ ნახევარფინალში მოხვდით?

- გაგიკვირდებათ და, იმდენად დიდ ემოციებში ვიყავი და ვნერვიულობდი, რომ ჟიურის არცერთი წევრის შეფასება არ გამიგონია. შესაბამისად, „ოქროს ღილაკის“ მოლოდინი არ მქონია. როდესაც თიკამ თქვა, მე ამ გოგოს ვერ ვანერვიულებ და „არა“ უნდა ვთქვაო, დავიჯერე, რომ უარს ამბობდა. მოულოდნელად მესმის თაკო ფხაკაძის სიტყვა „ღილაკი“... ცოტა დავიბენი... ერთადერთი კადრი, რაც არ ამომდის თვალებიდან, ეს არის თიკას მოძრაობა - როგორ ჩამოდის თავისი ადგილიდან და მიდის „ოქროს ღილაკამდე“. შემდეგ უკვე თვალი დავხუჭე და ღილაკზე დარტყმის მომენტი არც მახსოვს. ახლაც კი, როცა სიუჟეტს ვუყურებ, ამ მომენტზე თვალს ვხუჭავ, იმდენად დაუჯერებელი იყო.

- ახლა რა ეტაპზე ხართ, როდის იწყება გადაღებები?

- მალე დაიწყება გადარჩევის ეტაპი, შემდგომ უკვე - „ლაივები“, მეოთხედფინალი და ასე შემდეგ. მე ამ ეტაპებს გამოვტოვებ, ჩემდა საბედნიეროდ. მოუთმენლად ველი, როდის მოვა ნახევარფინალი. ახლა ეს ოთხმაგად საპასუხისმგებლოა. რაკი ჟიურიმ გადაწყვიტა ჩემი ნახევარფინალში გამოსვლა, მაქვს პასუხისმგებლობა თიკას წინაშე, რადგან მისი „ოქროს ღილაკი“ ვარ, ასევე, მაყურებლის წინაშე, რომელიც თავდაუზოგავად ყვიროდა დარბაზში - „ღილაკი, ღილაკი!" ვალდებული ვარ, მათი იმედები გავამართლო.

- რას მიიჩნევთ ყველაზე დიდ მიღწევად?

- „ოქროს ღილაკი“ როცა ავიღე და „ნიჭიერის“ ჩაწერა დასრულდა, მეგობრებთან ერთად ქუჩაში გამოვედი. იმ დღეს რუსთაველის გამზირი გადაკეტილი იყო, ტაქსებით გადაადგილება - შეზღუდული, ამიტომ მეტროთი წასვლა გადავწყვიტეთ. მეტროში 7-8 წლის გოგონა მიყურებდა. ვიფიქრე, იმდენად გადაღლილი და ემოციებისგან დაცლილი ვარ (თვალებიც ცრემლიანი მქონდა), ჩემი ახლობელია და ვერ ვცნობ-მეთქი. მისი მშობლები შებრუნებულები იყვნენ, გოგონა კი ჩემსკენ იყურებოდა. ვკითხე, ბოდიში, ხომ არ გიცნობ შემთხვევით-მეთქი. თქვენ არ მიცნობთ, მე გიცანითო, ჩაწერაზე რომ ვიყავით, მინდოდა მეთქვა, რომ საოცარი ხმა გაქვთ, მაგრამ იქ ვერ გიპოვეთო. მაშინ მივხვდი, რომ ცხოვრებაში რაღაც საფეხურამდე მივედი და რაღაცას მივაღწიე. ვინ არის ვალდებული,

იხ. მე-8 გვ.

როცა ქალაქს სძინავს...

ის შრომობს და კვლავ სცენაზე დაბრუნებაზე ოცნებობს

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

ჩუმად! ჩვენს ეზოში მომღერალი ჩიტი შემოფრინდა! - ასე დახვდნენ სრულიად უცნობი ადამიანები 13 წლის წინ ***ნათელა ივანაძეს,*** *როდესაც მეეზოვის ამპლუაში პირველი სამუშაო დღე ჰქონდა. მას შემდეგ ყოველი დილის 6 საათიდან, როდესაც ქალაქს ჯერ კიდევ სძინავს, ის ბათუმის ქუჩებისა და ეზოების დასუფთავებას იწყებს.*

- რამდენი ხანია, რაც ბათუმს ემსახურებით?

- შუახევში, ერთ-ერთ ანსამბლში ვმღეროდი და თან კულტურის სახლში ვმუშაობდი. მქონდა მაღაზია, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების დროს დამიყადაღეს. მას შემდეგ გადავწყვიტე ბათუმში წამოსვლა და სამსახურის ძებნა. უკვე 13 წელია, ჩემს საყვარელ ქალაქს ვემსახურები და ვუვლი.

- როგორ იპოვეთ სამსახური?

- ჩემი დაც ბათუმში, დასუფთავების სამსახურში მუშაობდა და ის დამეხმარა. შუახევიდან ჩამოსვლის შემდეგ მალევე დავიწყე ჰაიდარ აბაშიძის (ყოფილი ტურგენევის) ქუჩაზე მუშაობა.

- გაიხსენეთ პირველი სამუშაო დღე...

- პირველად, როცა ქუჩაში, დილის 6 საათზე, ცოცხით ხელში გამოვედი, ძალიან გამიჭირდა. ქუჩას ვხვეტდი და ცრემლმორეული ბოლო ხმაზე ვმღეროდი - ხელოვანი ადამიანისთვის, რომელიც კარგად მღერის, რთულია სცენიდან ქუჩაში გადმონაცვლება. შევამჩნიე, იქ მცხოვრებლებმა ფანჯრები როგორ გააღეს და ერთმანეთს გადასძახეს, ჩუმად იყავით, ჩვენს ეზოში მომღერალი ჩიტი შემოფრინდაო. შემდეგ ჩემთან მოვიდნენ და შემომთავაზეს, მემღერა, ჩემს საქმეს კი თავად გააკეთებდნენ. ამ წუთებმა ძალიან გამაბედნიერა.

- როდის იწყებთ და ასრულებთ სამუშაო დღეს?

- დილით 4 საათზე ვდგები, ორ ცვლაში ვმუშაობთ. პირველი ცვლა დილის 6 საათიდან 10 საათამდეა, მეორე კი დღის 3 საათიდან 6 საათამდე. დილით, როდესაც ხალხი სამსახურში წასვლას იწყებს, ქალაქი სუფთად უნდა დავახვედროთ.

- როგორ შეეჩვიეთ ამ რეჟიმს?

- პირველ რიგში, ყველა ადამიანს საკუთარი საქმე უნდა უყვარდეს. 69 წლის ვარ და დილით გაღვიძება მიხარია. მიხარია, რომ სამუშაო მაქვს.

- ამაყი ხართ, რომ ამ ქალაქს ემსახურებით?

- რა თქმა უნდა. ბათუმი ჩემი ქალაქია, ვფიქრობ, აჭარა საქართველოს გულია. მე ძალიან მიყვარს ჩემი საქართველო და ჩემი ხალხი.

- თქვენი შრომა დაფასებულია?

- ხელმძღვანელების მხრიდან - კი. უფროსები პატივს გვცემენ. რაც შეეხება ანაზღაურებას, ცოტაა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ საზოგადოების მხრიდან?

- მეეზოვეებს ბევრი ადამიანი გვაფასებს, მაგრამ არიან ისეთებიც, არაფრად რომ გვთვლიან. მათი აზრით, რახან ვალდებულნი ვართ, ეს საქმე ვაკეთოთ, ჩვენ თვალწინ ყრიან ნაგავს. ვფიქრობ, ასეთ ადამიანებს ეთიკა და ზრდილობა არ გააჩნიათ.

- რა რეაქცია გაქვთ, როდესაც ხედავთ, რომ ვიღაც თქვენს დასუფთავებულ ქუჩას ანაგვიანებს?

- დავედევნები და ვეუბნები, რომ აბუჩად მიგდებს და არ აფასებს ჩემს შრომას. თუ ვხვდები, რომ ჩემი საუბარი არ ესმის, მაშინ მის დაგდებულ ნაგავს ჯიბეში ჩავუდებ-ხოლმე და ვეშვიდობები. ზოგიერთი ბოდიშს იხდის და გრძნობს, რაც გააკეთა. ზოგადად, საზოგადოებასთან კონტაქტი არ მიჭირს, თუ მეჩხუბებიან, ვიჩხუბებ და თუ მღერიან, მათ გვერდით დავდგები და ვიმღერებ (იცინის).

- წინა წლებთან შედარებით რას ამჩნევთ საზოგადოებას, ცდილობენ, რომ ქუჩაში არ დაყარონ ნაგავი თუ ამ კუთხით არაფერი შეცვლილა?

- იგივე მდგომარეობაა, რაც ადრე იყო. ხალხის თვითშეგნება ძალიან დაბალია, ვალდებულად გხდიან, მათი დაყრილი ნაგავი შენ აიღო, ორი ფეხის ნაბიჯზეც კი ეზარებათ გავლა ან, უბრალოდ, არ უნდათ ნაგვის ურნაში ჩაყრა.

დასაქმებული ვარ და საკუთარი საარსებო წყარო მაქვს. მთავრობა ხელფასების მომატებას დაგვპირდა. მათი თქმით, ჯამში 3 ათას ლარამდე უნდა გაიზარდოს ჩვენი ხელფასი, რის გამოც მადლობლები ვართ.

- რა გაქვთ სათქმელი საზოგადოებისთვის?

- ჩემი ქართველების კეთილდღეობა, წინსვლა, წარმატება, გამარჯვება და სიყვარული მინდა. ერთადერთი, რაც ჩემს ქვეყანაში არ მინდა იყოს, ეს ლგბტ პროპაგანდაა. ევროპა და ევროკავშირი ძალიან კარგია, მაგრამ ევროპისგან ცუდი არ უნდა გადმოვიღოთ. საქართველომ უნდა შეინარჩუნოს მამული, ენა, სარწმუნოება, სტუმარმასპინძლობა.

- თქვენს ოცნებებზე გვითხარით...

- ვიყო ჯანმრთელად და არ გავხდე მოსავლელი. მე ახლა „ოცნების ქალაქში“ ვცხოვრობ, სადაც პატარა სახლი ჩემი სახსრებით ავაშენე, მაგრამ ჯერ გაფორმებული არაა და ძალიან მინდა, ხელისუფლება დამეხმაროს. ასევე, ვოცნებობ მშვიდობიან და განვითარებულ საქართველოზე. მე ხელში ცოცხით არ დავბადებულვარ და სცენიდან წამოსვლის შემდეგ დავიწყე ეს საქმე, ამიტომ მინდა, ისევ სცენაზე დავბრუნდე. მერე რა, რომ მალე 70 წლის ვხდები...

> ***„ ხელოვანი ადამიანისთვის, რომელიც კარგად მღერის, რთულია სცენიდან ქუჩაში გადმონაცვლება. შევამჩნიე, იქ მცხოვრებლებმა ფანჯრები როგორ გააღეს და ერთმანეთს გადასძახეს, ჩუმად იყავით, ჩვენს ეზოში მომღერალი ჩიტი შემოფრინდაო. შემდეგ ჩემთან მოვიდნენ და შემომთავაზეს, მემღერა, ჩემს საქმეს კი თავად გააკეთებდნენ. ამ წუთებმა ძალიან გამაბედნიერა***

ტურისტული ფილმების ფესტივალის „ქარავანი“ – საქართველოში

ნანა აბულაძე 577 20 35 90

გაზეთ „აჭარასთან“ ევროპაში მოღვაწე ქართველმა პროდიუსერმა, ქართული კულტურის ცენტრის EuroGeorgia დირექტორმა ესპანეთის ანდალუზიის რეგიონში (ქალაქი მარბელა) ნატალი მიქავა-სტიუარტ-ფოქსმა ისაუბრა, რომელმაც ბათუმში ახალი ინოვაციური პროექტი - საქართველოს საერთაშორისო რეგიონალური ტურისტული ფილმების ფესტივალი დააარსა. იგი ხელს უწყობს რეგიონული ტურიზმის პოპულარიზაციას, ამ სფეროში კინოხელოვნებითა და ტურიზმით დაინტერესებული ახალგაზრდების ჩართულობას

პროექტი დაფინანსდა ევროკავშირის Creative Europe პროგრამის ფარგლებში და მიზნად ისახავს საქართველოში საერთაშორისო რეგიონალური ტურისტული ფილმების ფესტივალის დაფუძნებასა და ტურისტული ფილმების წარმოების არტლაბის დაარსებას საქართველოში. უფრო დეტალურად თავად იდეის ავტორი მოგვიყვება.

- ზოგადად, მუდმივად სიახლეების ძიებაში ვარ, განსაკუთრებით მაინტერესებს, რაც ჯერ არ გაკეთებულა, ყოველ შემთხვევაში - საქართველოში, ან რომელიმე იმ ქვეყანაში, სადაც ვიმყოფები. პანდემიის დროს გამიჩნდა იდეა, საქართველოში უპრეცედენტო ინოვაციური პროექტი, საერთაშორისო ტურისტული ფილმების ფესტივალი და ტურიზმის ვიდეომარკეტინგის პლატფორმა დამეარსებინა. დავრეგისტრირდი ევროკავშირის პლატფორმაზე, დავიწყე მოკვლევა და რესურსების მოძიება ამ პროექტისთვის. 2022 წელს პროექტი დავაანონსეთ ტელევიზიით, ავუხსენით მაყურებელს, თუ რას მოიცავდა ტურისტული ფილმები და ვიდეომარკეტინგი. ამავე წელს დაანონსდა ევროკავშირის სახელოვნებო პროგრამების გრანტი, სადაც სხვადასხვა ევროპულ ორგანიზაციას უნდა მიეღო მონაწილეობა. მოვიძიე ორგანიზაციები სხვადასხვა ქვეყანაში. პირველად გამომეხმაურა ესპანეთის მალაგის ორგანიზაცია, შემდეგ ხორვატია და ასე შემდეგ. ერთი წლის განმავლობაში ვმუშაობდით ამ პროექტზე და შევიმუშავეთ კონცეფცია - სოციალური კლიმატის ხელოვნებასთან სინთეზის „არტქარავანი“ Social Climate Art Fusion Caravane. თითოეულ ქვეყანას თავისი ინდივიდუალური კულტურული პროექტი უნდა წარედგინა და დაგვეარსებინა არტლაბორატორიები, მე კი ჩემი საავტორო პროექტით შევედი, რომლის მიზანია რეგიონული მდგრადი ტურიზმის ხელშეწყობა, ტურიზმის ვიდეომარკეტინგის პლატფორმის ჩამოყალიბება ტურისტული ფილმების ფესტივალისა და ტურისტული ფილმების წარმოების სახით. 2023 წლის 8 ნოემბერს ევროკავშირისგან მივიღეთ დაფინანსების გადაწყვეტილება, 5 დეკემბერს კი, სხვათა შორის, ჩემი დაბადების დღეს, ხელი მოვაწერე კონტრაქტს.

- უფრო დეტალურად მოგვიყევით პროგრამებსა და პროექტებზე, რომლებსაც ახორციელებთ...

- სხვა საერთაშორისო პროექტებს შორის, რომლებიც გამიკეთებია, აღნიშნული პროექტი ნამდვილად უპრეცედენტო და საჭიროა ჩვენი ქვეყნისთვის. პროექტი ასევე საინტერესოა კინოხელოვნებითა და ტურიზმით დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის. ევროგაერთიანების Creative Europe საგრანტო პროექტი, ევროპული „არტქარავანი“ გახლავთ მნიშვნელოვანი პროექტი კრეატიული და აუდიოვიზუალური ხელოვნების სფეროში მოღვაწე დამწყები თუ მოყვარული ახალგაზრდებისთვის. იგი ხორციელდება ხუთ ევროპულ ქვეყანასთან ერთად - ესპანეთი, ნიდერლანდების სამეფო, ხორვატია, სლოვენია და საქართველო. თითოეული ქვეყანა თავის სახელოვნებო დარგს წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ აკადემიური და მაღალი დონის ორგანიზაციები მონაწილეობს ამ ქვეყნებიდან. პროექტის კოორდინატორია მალაგის უნივერსიტეტი (UMA), ასევე ნიდერლანდების კვლევისა და სკოლარშიფის ინსტიტუტი (GIRES). „არტქარავანის“ ფარგლებში შეიქმნება გლობალური პლატფორმა European Network of Young Artists, რომლის მეინსტრიმია - აღმოჩენა, ხელშეწყობა, ინტეგრაცია.

- პროექტის მიზანი...

- საქართველოს ტურიზმის ვიდეომარკეტინგის საერთაშორისო პლატფორმის შექმნა-განვითარება, მდგრადი ტურიზმის ხელშეწყობა. პროექტის ფარგლებში, საქართველოში პირველად, ქალაქ ბათუმში შეიქმნა ტურისტული ფილმების წარმოების ლაბი (Tourism Film Production Lab), სადაც ახალგაზრდებს შეასწავლიან ტურისტული ფილმების გადაღებას ინდუსტრიის საერთაშორისო გაიდლაინების მიხედვით და ტურიზმის ვიდეომარკეტინგის სტრატეგიებს, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში მდგრადი ტურიზმის განვითარებას. ასევე, წელს ბათუმში დაარსდა ტურისტული ფილმების ფესტივალი BATUMI TOURFILM FESTIVAL 2024, სადაც უკვე მსოფლიო პრემიერას ვუმასპინძლეთ. ხორვატიელ რეჟისორ ბობი გრუბიჩის ფილმმა Medimurje with Ben Fogle ფესტივალის გრან პრი მოიპოვა.

- რამდენად შეძელით ერთ-ერთი მთავარი ამოცანის შესრულება - ამ პროექტში ახალგაზრდების ჩართვა?

- არტლაბის პროგრამის მიხედვით ვაცხადებთ კონკურსს საუკეთესო ტურისტული ფილმების სცენარზე შემდეგი თემების მიხედვით: საქართველოს ტურისტული მიმართულებები (ლოკაციები) და ტურიზმის ნაირსახეობები (კულტურული ტურიზმი, ველნეს ტურიზმი, გასტრონომიული ტურიზმი, ეკოტურიზმი და სხვა); ტურისტული პროდუქტები და სერვისები (სასტუმრო, რეზორტი, მარანი, კვების ობიექტი); გასტრონომია, ავთენტური კერძები და მათი ისტორია; ქვეყნის კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობა; ქვეყნის საზოგადოებრივი და სოციალური პასუხისმგებლობა; ავტობიოგრაფიული პორტრეტი მსოფლიოში ცნობილი და საინტერესო ქართველი ადამიანებისა; ქართული მოდა, ცნობილი ქართველი დიზაინერები და სოციალური კლიმატი; თავისუფალი თემა. მონაწილეების ასაკია 18-დან 29 წლამდე. მასტერკლასები და ვორქშოფები ინგლისურ ენაზე გაიმართება, შესაბამისად, ინგლისური ენის ცოდნა აუცილებელია. კონკრეტული პროექტისთვის ახალგაზრდებს დარგის პროფესიონალები მათი სცენარის/იდეის და გამოცდილების მიხედვით შეარჩევენ. ონლაინ ვორქშოფებზე დასწრება და სხვა სასწავლო პროცესებში ჩართვა შეუზღუდავია პროგრამით გათვალისწინებული თემების მიხედვით წინასწარი რეგისტრაციით.

> ***„პროექტის ფარგლებში, საქართველოში პირველად, ქალაქ ბათუმში შეიქმნა ტურისტული ფილმების წარმოების ლაბი (Tourism Film Production Lab), სადაც ახალგაზრდებს შეასწავლიან ტურისტული ფილმების გადაღებას ინდუსტრიის საერთაშორისო გაიდლაინების მიხედვით და ტურიზმის ვიდეომარკეტინგის სტრატეგიებს, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში მდგრადი ტურიზმის განვითარებას“***

- რას მიიჩნევთ არტლაბის ყველაზე წარმატებულ ნაბიჯად?

- თავად ტურისტული ფილმების არტლაბის და საერთაშორისო ტურისტული ფილმების ფესტივალის დაარსება, პირველად საქართველოში, უკვე დიდი მიღწევაა. კონკურსში გამარჯვებულ ახალგაზრდებს მივიწვევთ არტლაბში და ჩვენ მიერ შერჩეულ ახალგაზრდებთან ერთად გადაიღებენ მოკლე ტურისტულ ვიდეოებს საქართველოს ტურისტულ პოტენციალზე, ქვეყნის კულტურულ თუ ბუნებრივ მემკვიდრეობაზე, მსოფლიოში აპრობირებული გაიდლაინების მიხედვით. ახალგაზრდებს ჩაუტარდებათ უფასო მასტერკლასები ქართველი და უცხოელი პროფესიონალების მიერ ტურიზმის ვიდეომარკეტინგის, ტურისტული ფილმების და ბლოგების გადაღების თანამედროვე მიმდინარეობებზე. გაიზრდება მათი გამოცდილება ამ დარგში, რაც დამატებითი პროფესიის დაუფლებასა და შემოსავლის მიღებაშიც დაეხმარება, კარგი ფილმების გადაღების შემთხვევაში კი საერთაშორისო აღიარებაშიც. მადლობა აჭარის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეს არტლაბის აქტივობებში აქტიური მონაწილეობისთვის და მხარდაჭერისთვის.

- როგორია არტლაბის სამომავლო გეგმები და პერსპექტივები?

- დაგეგმილია არტლაბის სამუშაო ჯგუფების გაცვლითი ვიზიტები პარტნიორ ქვეყნებში - ხორვატია, სლოვენია, ესპანეთი და ფილმების წარმოება. ნოემბერში არტლაბის აქტიური წევრები მიემგზავრებიან ხორვატიაში, შემდეგ კი სლოვენიაში. მომავალ წელს საქართველო უმასპინძლებს პარტნიორი ქვეყნების არტლაბელებს. რაც შეეხება ფესტივალებს, 27-28 სექტემბერს ქალაქ წყალტუბოში უკვე მეორედ, ხოლო 1-3 ოქტომბერს ბათუმში, აჭარის ხელოვნების მუზეუმში აკადემიურად და წარმატებით ჩატარდა პირველი საერთაშორისო ტურისტული ფილმების ფესტივალი, რომელსაც ტურიზმისა და კინოხელოვნების ექსპერტები შვიდი ქვეყნიდან ესწრებოდნენ. მადლობა ჩემს არაჩვეულებრივ გუნდს - არტდირექტორ მალხაზ ქვრივიშვილს, თემურ ზოიძეს, ბექა სონღულაშვილს, თეა ბერძენიშვილს, ზვიად დოლიძეს და სხვებს. ფესტივალის მხარდამჭერები იყვნენ საქართველოს პარლამენტის კულტურისა და დიასპორის საკითხთა კომიტეტი, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და ტურიზმის დეპარტამენტი, აჭარის მუზეუმთა გაერთიანება, აჭარის გიდების ასოციაცია, საქართველოს საზმაუწყებლის აჭარის რადიო და ტელევიზია, ესპანურენოვანი ჟურნალი Iberia del Caucaso, სასტუმრო „ნიუ ვეივი“ და „ლიც რეზორტი“. მადლობა ყველა მხარდამჭერს და ფესტივალის მეგობრებს უდიდესი ძალისხმევისთვის.

„ნიჭიერის“ სცენაზე დაბადებული ახალი ვარსკვლავი – ბათუმიდან

მე-7 გვერდიდან

მოვიდეს და შენს შესრულებაზე თავისი შთაბეჭდილება გაგიმხილოს, მით უმეტეს, პატარა გოგონა, რომელიც საერთოდ სხვის საგულშემატკივროდ იყო იქ მოსული. ჩემი დიდი ოჯახის (მეგობრებსაც მოვიაზრებ აქ) რეაქციაც იყო ჩემთვის ყველაზე დიდი მიღწევა, ასევე, ჩემი პედაგოგების, ჩემი თითოეული მსმენელის (მათ შორის ცნობილი მუსიკოსებიც არიან)... ამ პროექტის მადლობელი ვიქნები მთელი ცხოვრება, რომ ასეთი დიდი სიხარული მაჩუქა.

- სხვა პროექტებზე ან ფესტივალებზე მოგვიყევით - რომელს გამოარჩევთ?

- პირველი იყო საგუნდო კონკურსი. გუნდში ვმღეროდი, ჩვენი ქორმაისტერი რუსუდან ბერიძე გახლდათ და წარმატებით გამოვდიოდით ყველა კონკურსზე. საერთაშორისო სცენებზე კი უკვე რევაზ ლაღიძის სამუსიკო სკოლამ დამაყენა. აქ აუცილებლად ნატალია ორაგველიძე უნდა ვახსენო. არ არსებობს რომელიმე წარმატებული მუსიკოსი აჭარიდან, ვისაც მისი ხელი არ შეხებია. წარმოუდგენლად დიდ შრომას დებს თავის მოსწავლეებში და დიდი მადლობა მას. სწორედ მისი წყალობით მოვხვდი გოგონათა გუნდში მაგდა მათითაიშვილის ხელმძღვანელობით. ძალიან ბევრი კონკურსი გვქონდა საზღვარგარეთ, ახლაც, თითქმის ყველა კონკურსის გრან პრის მფლობელები არიან. ეს გუნდი მსოფლიო მოვლენაა, რადგან ამდენი გრან პრი არ მახსენდება, კიდევ რომელიმე გუნდს ჰქონდეს საქართველოში. ჩემთვის ძალიან საამაყოა, რომ ამ კოლექტივის წევრი ვიყავი. სწორედ მაგდას წყალობით შევდექი მუსიკოსად. მან მასწავლა, როგორ უნდა მივუდგე მუსიკას, როგორ უნდა მესმოდეს ჰარმონია და სხვა. შემდეგ იყო „ზღვის შვილები“. როცა აქ შევედი, დიდი მასშტაბური პროექტები დაიწყო. სამ საერთაშორისო პროექტში ვმონაწილეობდი - „იტალიის მარგალიტი“, „ბერლინის მარგალიტი“ და „რიგა სიმფონია“. სამივე პროექტი იყო ძალიან საპასუხისმგებლო, რადგან მათით დაიწყო ჩემი სოლოკარიერა. ძალიან დიდი გამოცდილება მივიღე და უდიდეს მადლობას ვუხდი ნონა დიასამიძეს და ნათია ინაიშვილს. შემდგომ იყო გიული კუბლაშვილი, რომელმაც სწორად დამინახა და აღმიქვა, როგორც მუსიკოსი, სწორი გეზი მომცა და ამისთვის ყოველთვის მადლობელი ვიქნები მისი. მადლობა ყველა ჩემს პედაგოგს: ქეთევან კილაძეს, ლია კვაშალს, რომელიც თავდაუზოგავად შრომობდა, რომ ინსტრუმენტთანაც მქონოდა შეხება, რადგან მუსიკოსისთვის ეს აუცილებელია. ეს პერიოდი ჩემთვის ყველაზე ღირებულია.

- პარალელურად რას საქმიანობთ, რით ხართ დაკავებული?

- ბავშვობიდან ვფიქრობდი, რომ თუ არ ვიქნებოდი მომღერალი, აუცილებლად უნდა ვყოფილიყავი ექიმი ან იურისტი. როცა გავიზარდე, მივხვდი, რომ მხოლოდ მომღერლობა არ კმარა (მოგეხსენებათ, ჩვენს ქვეყანაში შოუბიზნესი განვითარების რა საფეხურზეა) და გადავწყვიტე იურიდიულზე ჩაბარება. ახლა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ-მეცნიერებათა ფაკულტეტის მეოთხე კურსზე ვსწავლობ და ჩემი მეორე პროფესიითაც კმაყოფილი ვარ. იგი საშუალებას მომცემს, დავეხმარო იმ ადამიანებს, ვისაც ეს დასჭირდება.

- სად ხედავთ საკუთარ თავს 10 წლის შემდეგ?

- არ არის გასაკვირი, რომ ყველა ჯაზშემსრულებლისთვის ამერიკა საოცნებო ქვეყანაა და ალბათ, საკუთარ თავს ავუსრულებ ამ ოცნებას, საკონკურსო ფორმატით მაინც. 10 წლის შემდეგ საკუთარ თავს აუცილებლად სცენაზე ვხედავ, თუმცა მაქვს სხვა ოცნებებიც, რომელიც ძალიან დიდ შრომას მოითხოვს. მინდა შევქმნა საკუთარი ჯაზკლუბი და ჯაზის ყველა შემსრულებელს შევუქმნა გარემო კარგი საღამოების გასამართად, მინდა საქართველოს მოსახლეობას შევაყვარო ეს ჟანრი და ალბათ, 10 წლის განმავლობაში მოვახერხებ ამას. მინდა, უდიდესი მადლობა გადავუხადო თითოეულ ადამიანს, ვინც ჩემ გვერდით იდგა და დგას დღესაც, მხარს მიჭერს და მგულშემატკივრობს, ასევე, ჩემს ოჯახს, მეგობრებს. მათი თანადგომის გარეშე ვერაფერს მოვახერხებდი.

განცხადება

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია აცხადებს

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით (მიკროავტობუსები) ნებართვის მაძიებელთა

კონკურსს

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მაძიებელთა კონკურსში შემდეგ სამარშრუტო ხაზებზე: №24, №25, №28, №31, №30, №32, №34, №36, №39, №40, №44, №45, №46, №49 და №56 მონაწილეთა განცხადებების მიღება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად იწარმოებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის საქმისწარმოების განყოფილებაში 2024 წლის 11 ნოემბრიდან 12 ნოემბრის ჩათვლით, დილის 10:00 სთ-დან საღამოს 17:00 სთ-მდე, მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის №50 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემისა და ფასის გადახდის წესის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, საკონკურსო კრიტერიუმების მიხედვით M2 კატეგორიის (მიკროავტობუსის) ავტოსატრანსპორტო საშუალებების მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის შეფასება მოხდება შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, გოგოლის ქ. №11ბ (ავტოსადგურის ტერიტორია) 2024 წლის 15 ნოემბრიდან 22 ნოემბრის ჩათვლით, დილის 10:00 სთ-დან საღამოს 15:00 სთ-მდე. აღნიშნული პერიოდის შუალედში კონკურსში მონაწილე ნებართვის მაძიებელ პირებს დამატებით, ზუსტად ეცნობებათ მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის შეფასების დროის განრიგი სამარშრუტო ხაზების მიხედვით.

აზრთა ჭიდილში იბადება ჭეშმარიტება

მე-5 გვერდიდან

- შევეცდები აქაც დავაზუსტო, პირველი - „ნაციმოძრაობა“ - არა, გაერთიანება „ერთიანობა“, რომლის წევრი მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობა“ არ ყოფილა. ასევე ამ ბრძოლის ნაწილია პარტია „გახარია საქართველოსთვის“ ამ ოთხ პოლიტიკურ სუბიექტთან თანამშრომლობით. ეს პარლამენტი არის არალეგიტიმური და მას არც დასავლეთში და არც ქვეყნის შიგნით არავინ აღიარებს. ამ ბრძოლამ შედეგი გამოიღო და საგარეო პოლიტიკის ნაწილში „ოცნება“ კეთროვანი გახდა. მხოლოდ ვენესუელა და რუსეთი არიან ახლა მმართველი პარტიის მოკავშირეები, სამოქმედო სტრატეგია კი 4 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე გაცხადდა რუსთაველზე.

- ექსპერტთა ნაწილი არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა, ოპოზიციის წარმომადგენლები გაურიგდნენ ხელისუფლებას და პარლამენტში შევიდნენ...

- სავარაუდოდ, „ოცნების“ პროტეჟე ექსპერტების სიზმარია ეგ. ამ ეტაპისთვის წარმოუდგენელია ამაზე ფიქრი, ყველას კარგად აქვს გააზრებული ის საფრთხე, რომლის წინაშეც ახლა ვართ და ხელისუფლებასთან გარიგება ეშმაკთან გარიგებას უდრის, ამიტომ ამას არავინ აპირებს.

- ვხედავთ, რომ ევროპარლამენტის წარმომადგენლებმა და დასავლეთის ზოგიერთმა სახელმწიფომ შეშფოთება გამოთქვეს საქართველოში ჩატარებულ არჩევნებთან დაკავშირებით...

- ბუნებრივია, შეშფოთებულნი იქნებიან. ყველა საღად მოაზროვნეს აწუხებს ამ ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხის და სამართლიანი არჩევნების ნიველირება. არავის ახარებს კიდევ ერთი, პატარა რუსეთის გაჩენა. მხოლოდ შეშფოთებით არ შემოფარგლულა ეს პროცესი, უკვე გასაგებად გვითხრეს, რომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი შემდეგ ეტაპზე არ გადავა და რომ მოლაპარაკებები შეჩერებულია. გასაგებად და მკაფიოდ თქვეს, რომ სანამ ამ ქვეყანაში რუსულ რეჟიმს აქვს მიტაცებული მთავრობა, ჩვენ ევროკავშირი უნდა დავივიწყოთ.

- დასავლელი ანალიტიკოსები არ გამორიცხავენ, რომ შესაძლოა საქართველოს ვიზალიბერალიზაცია შეუჩერონ. რამდენად საფუძვლიანია ასეთი სცენარი?

- იმის გათვალისწინებით, რომ კანდიდატის სტატუსი შეგვიჩერეს, სრულიად მოსალოდნელია შემდეგი ნაბიჯი ეს იყოს. ამაზე კულუარებში საუბრები უკვე მიმდინარეობს კიდეც.

- კვლავ არჩევნებს დავუბრუნდეთ, პროცესების როგორ განვითარებას ელოდებით?

- მოდით, ასე შევხედოთ. სულ სამი გზა გვაქვს. პირველი - შევეგუოთ იმას, რომ გავხდებით რუსეთის გუბერნია, ან, მაქსიმუმ, ბელარუსი. მეორე, გავიქცეთ ამ ქვეყნიდან ყველა, ვინც ამას არ შევეგუებით და მესამე - ვიბრძოლოთ ჩვენი და ჩვენი შვილების მომავლისთვის. ესაა სულ. მეოთხე არჩევანს ვერ ვხედავ. ჩვენ ახლა ვართ იმ ეტაპზე, როცა ქუჩაში გავდივართ, ბოლომდე ვიბრძვით და ვიგებთ. სამწუხაროდ, სხვა რეალობა არ არსებობს. ეს არის ერთადერთი გამოსავალი, ქვეყანა გავათავისუფლოთ რუსეთისგან.

- დაბოლოს, რას ელოდებით ამ ოთხი წლის განმავლობაში პოლიტიკური სპექტრისგან?

- იმდენად სწრაფად იცვლება სიტუაცია, რომ რამის პროგნოზირება რთულია. ერთადერთი, რაც შემიძლია ვთქვა, ისაა, რომ ოპოზიცია ახლა ერთიანია, შესაბამისად, ბრძოლა იქნება ხანგრძლივი, თუმცა შედეგიანი. ახლა გვაქვს შესაძლებლობა, დავამარცხოთ ის ჭირი, რუსეთი რომ ჰქვია და კარგია, რომ ამ ბრძოლაში ცივილური სამყარო ჩვენ გვერდით დგას.

გაზეთი «აჭარა» გთავაზობთ ნებისმიერი სახის დიზაინერულ მომსახურებას, დიზაინის თანამედროვე სტილში გადაწყვეტას, რეკლამის გაფორმებას, შერჩევას. დიზაინის დამზადების მსურველებმა მიმართეთ გაზეთ «აჭარის» სარეკლამო სამსახურს. ტელ: 27 48 93.

ხელოვნური ინტელექტი - საფრთხე თუ შესაძლებლობა?

მე-4 გვერდიდან

გამჭვირვალე ჟურნალისტიკის წახალისება, რა თქმა უნდა, შესაბამის სამართლებრივ რეგულირებასთან ერთად. საჭიროა მკაფიო კანონმდებლობა, რომელიც გაზრდის პლატფორმების პასუხისმგებლობას და დააწესებს გამჭვირვალობის მაღალ სტანდარტებს. რეგულაციები უნდა იყოს გონივრული და არ ზღუდავდეს გამოხატვის თავისუფლებას. რა თქმა უნდა, კიდევ ერთხელ განსაკუთრებულად უნდა გავუსვათ ხაზი პირად პასუხისმგებლობას. ჩვენ თვითონ ჩვენივე ძალისხმევით უნდა გამოვიმუშაოთ ერთგვარი ციფრული იმუნიტეტი - ჩვევა, რომ გადავამოწმოთ ინფორმაცია, კრიტიკულად შევაფასოთ სენსაციური ახალი ამბები, ამოვიცნოთ და გამოვიყენოთ სანდო წყაროები. ალბათ საზოგადოების ყველა წევრის ერთობლივი ძალისხმევით შევძლებთ ამ გამოწვევასთან გამკლავებას.

- სად გადის ზღვარი, რომლის შემდეგ ხელოვნური ინტელექტი კაცობრიობისთვის საშიშად ჩაითვლება?

- ხელოვნური ინტელექტის საშიშროების ზღვარზე საუბრისას მნიშვნელოვანია გავიაზროთ, რომ ეს ყველა შემთხვევაში არ არის მკვეთრი წითელი ხაზი. როდესაც AI იწყებს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებას ისეთ სფეროებში, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენს ადამიანის სიცოცხლეზე, უსაფრთხოებასა და ფუნდამენტურ უფლებებზე, სწორედ აქ იწყება „სახიფათო ზონა“. საფრთხის კიდევ ერთი მაჩვენებელია, როდესაც ადამიანებს აღარ შეუძლიათ, სრულად გაიგონ ან გააკონტროლონ AI სისტემების მუშაობის პრინციპები. როდესაც ტექნოლოგია იმდენად რთული ხდება ან ჩქარდება მისი მუშაობის ტემპი, რომ მისი გადაწყვეტილებების ლოგიკა ამ სისტემაში ყველაზე კარგად გარკვეული ადამიანებისთვისაც კი გაუგებარია, ჩნდება სერიოზული რისკები. მნიშვნელოვანია გავიაზროთ, რომ საშიშროების ზღვარი არ არის დაკავშირებული მხოლოდ ტექნოლოგიურ განვითარებასთან, იგი მჭიდროდ უკავშირდება იმას, თუ რამდენად მზად ვართ, გავაკონტროლოთ და მივმართოთ ეს ტექნოლოგია სწორი მიმართულებით. ამისთვის, პირველ რიგში, აუცილებელია უფრო მეტი ტრენინგის, ვორქშოფის, პრაქტიკული შეხვედრის, კონსულტაციის ჩატარება, განსაკუთრებით საზოგადოების იმ ნაწილთან, რომელმაც უკვე გადადგა პირველი ნაბიჯები ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მიმართულებით და რომელსაც, პირველ რიგში, სჭირდება AI-ს გამოყენებასთან დაკავშირებული რისკების, საფრთხეების, გამოწვევების იდენტიფიცირების, პრევენციული ღონისძიებების შესახებ სწორი ინფორმაციის მიწოდება და სწავლება.

- როგორ ხედავთ მომავალს? როგორ იქნება ხელოვნური ინტელექტი ჩართული სხვადასხვა საქმიანობაში და რისი შეცვლის პოტენციალი აქვს ამ ტექნოლოგიას?

- დღეს, როდესაც ტექნოლოგიური პროგრესი უპრეცედენტო ტემპით ვითარდება, ხელოვნური ინტელექტი თანდათან იკავებს ცენტრალურ ადგილს საზოგადოების ტრანსფორმაციის პროცესში. ეს ტექნოლოგია აღარ არის მხოლოდ სამეცნიერო ფანტასტიკის სფერო, ის უკვე რეალურად ცვლის ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებას და სამუშაო გარემოს. მიუხედავად მრავალი გამოწვევისა, ხელოვნური ინტელექტის განვითარება შეუქცევადი პროცესია. მთავარია, საზოგადოებამ, ნებისმიერი სფეროს წარმომადგენელმა შეძლოს ამ ტექნოლოგიის გონივრულად გამოყენება და მისი პოტენციალის საერთო კეთილდღეობისკენ მიმართვა. მთავარია, ვიყოთ მზად ამ ცვლილებებისთვის და შევძლოთ მათი სწორი მიმართულებით წარმართვა, ეს პროცესი კი მეცნიერებს, სახელმწიფო სტრუქტურებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის მჭიდრო თანამშრომლობას მოითხოვს.

ხსოვნა

დიმიტრი ქინქლაძე



84 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში დიმიტრი ქინქლაძე.

დაიბადა 1940 წლის 20 აგვისტოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მერიაში. იყო სსრკ სპორტის ოსტატი თავისუფალ (1964 წ.) და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში (1965 წ.), ასევე, საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ჩემპიონი (1962 წ.).

დიმიტრი ქინქლაძე რეგიონში ჭიდაობის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის დაჯილდოებულია საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ორდენით, 2020 წელს საქართველოს სპორტის რაინდის წოდება მიენიჭა. 1983 წლიდან მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლეში მწვრთნელად მუშაობდა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

დიმიტრი ქინქლაძე გინესის ორგზის რეკორდსმენი გახლდათ (1997, 2020 წლებში), იგი შეეკვანილია მე-20 საუკუნის მსოფლიო გინესის რეკორდების ათეულში (2020 წ. VIII ადგილი), ოთხჯერ დასახელდა აჭარის ათ საუკეთესო მწვრთნელს შორის (1994,1996, 2006, 2009 წლებში).

მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლე;

აჭარის სპორტის დეპარტამენტი;

აჭარის სპორტული ფედერაციები;

სპორტული ჟურნალისტები

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადუარი»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოროვის ქ. №2ბ
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 7/11/24, 17 15 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

მიხეილ გაბაიძის პირველი ფილმი და... პირველი წარმატებები

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ჩვენი თანაქალაქელი, საქართველოს საზმაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს გადაცემა „ეთნოფორის“ პროდიუსერი და წამყვანი, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრისა და ბათუმის კულტურის ცენტრის მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ხელოვნების სფეროს მენეჯერი, შემოქმედებითი ორგანიზაცია „არტ პორტალის“ თავმჯდომარე და ქართული ტრადიციული გალობისა და სიმღერის ანსამბლ „ფერისცვალების“ მგალობელ-მომღერალი, საყმაწვილო სასკოლო თეატრალური დასების ფესტივალ „პირველი ავტოგრაფის“ დამფუძნებელი და დირექტორი მიხეილ გაბაიძე ამჯერად მოკლემეტრაჟიანი ფილმის „ვაზომოტორული რინიტი“ რეჟისორად მოგვევლინა

დამთავრებული აქვს კინოსარეჟისორო ფაკულტეტი. ეს ფილმის გადაღების მისი პირველი ცდაა (სადიპლომო ნამუშევარია მაგისტრატურაში). ფილმმა პრიზები უკვე რამდენიმე ფესტივალზე სხვადასხვა ნომინაციაში დაიმსახურა, მათ შორის, საუკეთესო რეჟისურისთვის, სცენარისთვის... პრემირებულია ფილმის მთავარი როლის შემსრულებელი დავით ჯაყელი, მიღებული აქვს პრიზი ნომინაციაში - საუკეთესო რეჟისორული ნამუშევარი ქართულ სტუდენტურ ფილმებში (საერთაშორისო ფესტივალი „ოქროს ყურძენი“, თელავი, საქართველო), პრიზები მიიღო ყაზახეთში, შოტლანდიაში, იტალიის სხვადასხვა ფესტივალზე, გერმანიაში, აშშ-ში... „ფილმი „ვაზომოტორული რინიტი“ კიდევ რამდენიმე ფესტივალზეა გაგზავნილი... ფაქტი ერთია: მოწონება დაიმსახურა და წინსვლას განაგრძობს.

„ვაზომოტორული რინიტის“ მთავარი თემა, როგორც რეჟისორმა გვითხრა, რიგითი ჩინოვნიკის მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეებთან მლიქვნელური დამოკიდებულებაა. მთავარი მოქმედი გმირი მამაკაცი საკონცერტო დარბაზში ცხვირის დაცემინებისას მის წინ მჯდომ მაღალი რანგის ჩინოვნიკთან

უხერხულ სიტუაციას ქმნის. მობოდიშების მიუხედავად, მთავარი გმირი განიცდის მონურ შიშს რანგით ბევრად უფროსის მიმართ, რათა არ დაკარგოს კეთილდღეობა. საბოლოოდ ეს შიში მისი სიცოცხლისათვის საბედისწერო აღმოჩნდება (ეს მოკლემეტრაჟიანი ფილმი გადაღებულია ანტონ ჩეხოვის მოთხრობის „ჩინოვნიკის სიკვდილის“ მიხედვით).

- რატომ მაინცადამაინც ჩეხოვი, რითი მოგიხიბლათ?

- ფილმი ჩემი სამაგისტრო ნამუშევარია. მაშინ ჩვენი ჯგუფის ხელმძღვანელი გიორგი გოგიბერიძე იყო, მასთან სამი სტუდენტი ვსწავლობდით - მე, სოსო სტურუა და სერგი კეჟერაძე. გიორგიმ გვითხრა, რაც გვინდოდა, ის გადაგვეღო. ვერ შევარჩიეთ და თავად შემოგვთავაზა ჩეხოვის „ქალი ძაღლით“. ამ მოთხრობის სიუჟეტმა რატომღაც არ დამაინტერესა, ბანალური მომეჩვენა. საბოლოოდ, შოთა გუჯაბიძემ „ჩინოვნიკის სიკვდილი“ შემომთავაზა. გიორგიც დაგვთანხმდა.

- და რაა მასში გადმოცემული ისეთი, რამაც დაგაინტერესათ?

- პატარა ადამიანში, შიგნით, თითქოს კიდევ პატარა ადამიანია, რომელიც შიშითა და ეჭვითაა შეპყრობილი. ვფიქრობ, ყველა ბოროტების სათავე სწორედ ესაა... ვინც ფილმს ნახავს, მიხვდება, რომ აქ არ არის ხაზგასმა ეროვნებაზე, ქვეყანაზე... არ არის დაკონკრეტებული თანამდებობა, ანუ ასეთი რამ ყველგან და ყველასთან შეიძლება მოხდეს, თუმცა ნათქვამია, რომ ეს პერსონაჟი წინა თვეში დაწინაურებული ადამიანია - მთავარი სპეციალისტი, ასე თუ ისე, თანამდებობის პირი და... ამიტომ ის ღონისძიებებზე, მათ შორის, ოპერაშიც უნდა წავიდეს. მოკლედ, ასე დავიწყეთ ფილმზე მუშაობა მე და მამუკა ჩხიკვაძემ, რომელიც ფილმის ოპერატორია, მხატვარი ლუკა ბესელიაა, მონტაჟი ეკუთვნით ამირან ვადაჭკორიასა და შოთა გუჯაბიძეს. მონაწილეობენ: დავით ჯაყელი, ზაალ გოგუაძე, თათია თათარაშვილი, ირაკლი ჭანკვეტაძე, პეტრე ჩარგეიშვილი, სოსო სტურუა, გვანცა ცეკვაშვილი, პროდიუსერები - სოფიკო კომახიძე და ელენე ჯაფარიძე.

- ანუ მხარში მეგობრები ამოგიდნენ.

- ისინი რომ არა, ვფიქრობ, არც ფილმი იქნებოდა.

- რამდენ ხანს იღებდით ფილმს?

- ექვს დღეში გადაღებული ფილმია.

- და რამდენი პრიზი მიიღო?

- 13 საერთაშორისო პრიზი, მათგან მხოლოდ ერთია თელავში მიღებული, დანარჩენი - უცხოეთის ქვეყნების ფესტივალებზე.

- როგორც ვიცი, ფესტივალების შესახებ ინფორმაცია ინტერნეტში თავად მოიძიეთ...

- და იცით - რატომ? მინდოდა, ვინმე პროფესიონალს, კვალიფიციურ ჟიურის ენახა და შეეფასებინა ფილმი, ეთქვა თავისი მოსაზრება - რა გავაკეთე სწორად, რა - არა.. ფილმი შეიძლება გადაიღო, მაგრამ შემდგომი ეტაპიც ძალიან მნიშვნელოვანია - როგორ შესთავაზებ, გაყიდი თუ ვერა... აქ ჩემი მენეჯერული გამოცდილება გამოვიყენე - ხშირად ოთხი საათიც კი ვიჯექი ინტერნეტში და ვეძებდი ფესტივალებს. მოგეხსენებათ, თითოეულს თავისი დებულება, პირობები აქვს, თუ როგორ უნდა იყოს გადაღებული... რეგისტრაციას ფული სჭირდება, მერე ფესტივალის ხელმძღვანელობა ან მიიღებს ან - არა და ეს ფული ხომ იკარგება?! მაგალითად, ბრაზილიაში ერთმა წარმომადგენელმა მომწერა, 2600 ფილმი შემოვიდა, აქედან 1331 იყო საერთაშორისო, რომელთაგან მხოლოდ 15 შეირჩაო და... ერთ-ერთი ჩვენი იყო. ნომინაციაში მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის პრიზი ჩვენმა ფილმმა მიიღო. მნიშვნელოვანია, როგორ შესთავაზებ ფესტივალს და როგორ დაინტერესებ, ჰოდა, სწორედ ამას ვაკეთებდი (ვეძებდი) საათობით და მერე დილით ვაგზავნიდი, პასუხს ველოდებოდი. ფაილიც შესაბამისი მოთხოვნით უნდა იყოს, ანუ ბევრი ნიუანსია გასათვალისწინებელი...

- ალბათ ისე გაიწაფეთ, რომ ეს ფაილები და, საერთოდ, ყველა მოთხოვნა წინასწარ გქონდათ მზად.

- კი, მაგალითად, ანოტაცია უკვე მქონდა ინგლისურად, ფაილიც იმათი მოთხოვნის პარამეტრებით უნდა გაგეგზავნა, ჩემი ბიოგრაფია, ფილმის მონაცემები - რამდენი წუთია, რა ფორმატში და რომელი ფირითაა გადაღებული... ანუ ყველაფერს კონკრეტულად ითხოვენ, რადგან ყველა ფესტივალს თავისი პირობები და წესები აქვს.

- საინტერესოა, თქვენნაირად საერთაშორისო ფესტივალებში ბევრი ქართველი მონაწილეობს?

- ნაკლებად არიან, სულ ერთი თუ ორი გვარი შემხვდა და გამოდის, რომ საქართველოდან სხვა დანარჩენ ფესტივალზე ყველგან მხოლოდ ჩემი ფილმი იყო წარდგენილი.

- რომელი იყო პირველი პრიზი?

- ეს იყო სან-დიეგოდან, როცა უცხოენოვანი ფილმების სექციაში საუკეთესო ფილმად აღიარეს. გავიმარჯვეთ და 2025 წლის მარტის ბოლოს დაჯილდოებაზე მიპატიჟებულები ვართ. 1-დან 6 ნოემბრამდე ამერიკაში, ფლორიდის შტატში ფესტივალი ტარდება, იქაც გვაქვს წარდგენილი ეს ფილმი და, საერთოდ, ჩვენი ფილმის მონაწილეობით

ფესტივალები მაისამდეა გაწერილი.

- ყველა ფესტივალზე მონაწილეობას პირადად სთავაზობთ, ამ ფესტივალებს თავად მოიძიებთ, ანუ თქვენმა პროფესიამ, მენეჯერობამ აქ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა...

- ნამდვილად ასეა. მართალია, ჩემს ფილმზე ორი პროდიუსერი მუშაობს, მაგრამ ამ ყველაფერზე - ფესტივალში მონაწილეობასთან დაკავშირებულ საქმეებზე - პირადად მე ვმუშაობ. ამ კუთხით გამოცდილება მაქვს. სხვათა შორის, ფილმის ტიტრები რამდენიმე ენაზე კვალიფიციურად მაქვს ნათარგმნი, მათ შორის, თურქულად, სომხურად, აზერბაიჯანულად, სერბულად, იაპონურად, ესპანურად, გერმანულად, ფრანგულად... დაახლოებით 12 ენაზე მაქვს მზად. შემიძლია, ამა თუ იმ ქვეყანაში გავაგზავნო ინგლისურად და თუ მათ დასჭირდებათ, თავიანთ ენაზე ინგლისურიდან თარგმნონ, მაგრამ მირჩევნია ქართულიდან ითარგმნოს, რადგან ინგლისურიდან თარგმნის დროს რაღაც იკარგება.

- როგორი იყო პირველი გამარჯვების პირველი ემოცია?

- რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდა. განსაკუთრებით, კანის ერთ-ერთ ფესტივალზე რომ გაიმარჯვა.

- ვფიქრობ, ამ პატარა ქალაქისთვის მისი მკვიდრის საერთაშორისო კინოფესტივალებზე გამარჯვება ძალიან ღირებულია.

- ალბათ კი. სამ-ოთხ ფესტივალზე რომ წარადგენ და იქიდან შესანიშნავ გამოხმაურებებს მოგწერენ, რა თქმა უნდა, გიხარია. ყაზახეთის ფესტივალზე ასეთი რამ მოხდა: გამოაცხადეს პრიზი საუკეთესო სცენარისთვის, მაგრამ სცენარის ავტორი არ გვყავს, ტიტრებშიც კი არ მყავს მოხსენიებული. მათ სცენარისტებად შოთა გუჯაბიძე და ამირან ვადაჭკორია გამოაცხადეს და შესაბამისი დიპლომიც მოგვცეს. ისინი ტიტრებში, როგორც მემონტაჟეები, ისე წერია. ჩვენ ყველა ერთად ვმუშაობდით ფილმზე, მხოლოდ ოპერატორი იყო დამოუკიდებელი, სხვას ყველაფერს ერთად ვაკეთებდით.

- და მაინც, ვინ დაწერა სცენარი? თუ შეგვიძლია გთქვათ, რომ იყავით „შესანიშნავი სამეული“?

- კი, ბატონო, ასე იყოს.

- რადგან ფილმი ასეთი კარგი გამოვიდა, ის კი არადა, ამდენი პრიზიც მიიღეთ, ხომ არ გადაიღებთ კიდევ რაიმე ახალს?

- გადაღებას სხვას ანაზღაურების გარეშე ყოველთვის ვერ დაავალებ, არაა ლამაზი... დღეს ინტელექტუალური შრომა, დროც ფული ღირს და ასე, უფულოდ, ძალიან ძნელია. ფესტივალებზე ყველა ავტორს ფინანსურად ვიღაც უდგას გვერდით.

- ხომ არ გიფიქრიათ სახელმწიფოს ჩართვაზე? ხომ არსებობს სხვადასხვა პროექტი?

- ვნახოთ. ისე, თუ ოდესმე მოვახერხე, დოკუმენტურ ფილმს გადავიღებ. ისე ძნელია ეს ყველაფერი... ჯერ არ მაქვს გადაწყვეტილი.

- ამ ფილმს კიდევ წარადგენთ რომელიმე ფესტივალზე?

- უკვე წარდგენილი მაქვს (ჯენუაში, ფინეთში, სტოკჰოლმში, ფოლივუდში - ამერიკაშია ასეთი ფესტივალი) და, რა თქმა უნდა, კიდევ წარვადგენ. ათობით ფესტივალზე მაქვს განაცხადი გაგზავნილი, საიდანაც პასუხს ველოდები, უკვე 38 ფესტივალზე სელექციას (შერჩევას) ელოდება, რომელიც მაისამდე უნდა ჩატარდეს. იქ დააჯილდოებენ თუ არა ფილმს, ჩემთვის მთავარი არაა იმიტომ, რომ ნომინაციაში გამარჯვება მაინც ჟიურის გადაწყვეტილება, მათი სუბიექტური აზრია. ძალიან კარგია, რომ იქ, ყველგან, საქართველოს სახელი გაიჟღერებს. ბევრმა საქართველოს შესახებ არცკი იცის. სხვათა შორის, 10 სექტემბრამდე ერთდროულად 5 ფესტივალზე უჩვენებდნენ. დაბოლოს, მინდა ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო გუნდის წევრებს, რადგან თითოეულმა მათგანმა უანგაროდ, დიდი სიყვარულით გააკეთა ყველაფერი და მგონია, რომ თუ რაიმე კარგად გამოდის, ეს მაშინ, როცა თანამოაზრეები საქმეს სიყვარულით აკეთებენ. ჩვენთანაც ასე იყო - ყველაფერი კეთდებოდა ერთად...

აქვე შემოკლებულად გთავაზობთ თეატრმცოდნე ***ლელა ოჩიგავას*** *წერილს სახელწოდებით „რატომ კვდებიან სახელმწიფო მოხელეები“, რომელიც ფილმზე საკუთარ შეხედულებებს შესანიშნავად გვაწვდის:*

„ანტონ ჩეხოვმა მოთხრობა 1883 წელს დაწერა. მოქმედებაც სწორედ იმ პერიოდის რუსეთში ხდება, თუმცა ირონიითა და სატირული აქცენტებით მოთხრობილი ამბავი ზოგადსაკაცობრიოა, თანადროულიცაა და საქართველოს დღევანდელობასაც გამოხატავს. სწორედ ესაა ფილმის ძირითადი ხაზი, რომელსაც ავტორი მკვეთრი და ექსპრესიული გამომსახველი საშუალებებით გამოხატავს.

ფილმში არც მოქმედების ზუსტი დრო და ადგილი კონკრეტდება და ზღვარიც რეალობასა და წარმოსახვას შორის ძნელი დასადგენია. ასეთი მოვლენები საქართველოს (და არა მხოლოდ) ნებისმიერ უწყებაში, ნებისმიერ ქალაქში, ნებისმიერი რანგის მოხელეებს შორის შეიძლება განვითარდეს. რეჟისორი სამოქმედო სივრცეებს პირობით ინტერიერებში აქცევს, რაღაც განსაკუთრებული მახასიათებელი დეტალების თავარიდებითა და კონკრეტულ ნიშნებს ზოგად მოცემულობად აქცევს. მოქმედების საქართველოში გადმოტანასთან ერთად, მიხეილ გაბაიძემ ეპოქაც შეცვალა და თანამედროვე რეალობას მოარგო - საერთო პანორამით, სიტუაციებით, პერსონაჟების ხასიათებით. ისინი დღევანდელი საქართველოს მკვიდრნი არიან, სხვადასხვა ფსიქოტიპის, თვისებების, ცხოვრების წესისა და სიტუაციური ქცევის, სხვადასხვა სოციალური საფეხურის ტიპური და ტიპაჟური წარმომადგენლები. მათ არ აქვთ სახელები და გვარები და აქვთ მხოლოდ გამოგონილი და პირობითი, თუმცა კარგად გასაგები/ამოსაცნობი სტატუსის გამომხატველი „განსაზღვრებები“. ფილმი მოკლე სცენებადაა აწყობილი, ეპიზოდები სწრაფად ვითარდება და აქტიურ ტემპორიტმს ქმნის. დიალოგებიც ასეთივე სწრაფად მონაცვლე და ლაკონურია. მიხეილ გაბაიძე სხარტად, მკვეთრი, ექსპრესიული და მეტყველი ხერხებით ქმნის სახედაკარგული ადამიანის ატმოსფეროს და ფილმის საერთო ხასიათს. ორმაგი უსახობა და უადგილობა, სადმე, ნებისმიერ სასურველ ადგილას ყოფნისა თუ დაბრუნების შეუძლებლობის პრობლემა, მიხეილ გაბაიძემ პირობით, თავისუფალ და ღია ფინალში მოაქცია და მეტყველი, მრავალნიშნა საზრისი მიანიჭა.“

ვულოცავთ მიხეილ გაბაიძეს პირველი ფილმის პირველ წარმატებებს, ახალი გამარჯვებების საწინდარი ყოფილიყოს!